

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომდევნადი მოსახლეობის მდგომარეობის მონიტორინგის შედეგად

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი - 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 3-8, შიდაპრადაცობის რაიონებში - 2-7 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ღვინის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 770 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია თოვლქუჩა, მთაში - თოვა.

კრიკოსი N 10

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომეზაშვილთან და მის მოადგილეებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ სასაზღვრო პოლიციის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსები. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს შსს-ში მიმდინარე რეფორმები და 2023 წელს დაგეგმილი პროექტები. გუშინვე, პრემიერმა სამუშაო თათბირი გამართა საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილთან და მის მოადგილეებთან.

სსიპ „ანტიკორუფციული ბიუროს“ ხელმძღვანელად რაუდენ კუპრაშვილი დანიშნა. აქამდე იგი სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურის“ დირექტორის მოვალეობას იკავებდა. სხვადასხვა დროს იყო „შავი ზღვის საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატის“ დირექტორი, ასევე „კუპრაშვილი და ადვოკატების“ დირექტორი, შპს „საპროექტო-საკვლევადი ინსტიტუტის“ - „ტრანსპროექტის“ იურიდიული სამსახურის უფროსი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარეგიონო კომისიის თავმჯდომარე.

თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 1 მილიონი ლარი გამოიყო. თანხა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის მედიკამენტების, საკვების, ტანსაცმლის, სამედიცინო აღჭურვილობის და სხვა საჭიროებების შესყიდვას და თურქეთის რესპუბლიკაში ტრანსპორტირებას მოხმარდება.

მოხარულები ვართ, მონაწილეობა მივიღოთ ტრასეკას ყოველწლიურ შეხვედრაში, ვინაიდან ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს ევროპას, კავკასიას და ცენტრალურ აზიას, - განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პავლე ჰერჩინსკიმ, რომელიც თბილისში ორგანიზაციის მთავრობათაშორისი კომისიის ყოველწლიურ სხდომას დაესწრო. „უკრაინის მიმართ რუსეთის გაუმართლებელი და არაპროვოცირებული აგრესიის პირობებში, შუა დერეფნის როლი იზრდება და ჩვენ აქ ვართ, რათა მხარი დაგუჭიროთ საგარეო კავშირის სამხრეთ კავკასიის გაგლით, რომელიც აკავშირებს ევროკავშირსა და ცენტრალურ აზიას“, - აღნიშნა მან.

მომზადდა ია შვედიაში

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების დაფინანსება დაიწყო

მარია მთავროსი 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიმდინარე წელს პირველად დაიწყო ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების დაფინანსება. სერვისის „მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, ბენეფიციარებს წარმოადგენს ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე მოქალაქეები. პროგრამის მიზანია, პაციენტებისათვის შესაბამისი სტაციონარული სამედიცინო სერვისების მიწოდება, ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ჯანმრთელობის ზიანის შემცირება და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამის მიმდინარეობის პროცესს აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ (BMS) გაეცნო.



აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების დაფინანსება. ამ ეტაპზე, პროგრამით უკვე ისარგებლა ათმა ბენეფიციარმა. სამი პაციენტი მკურნალობის კურსს ამჟამად გადის. პროგრამა წლის ბოლომდე გაგრძელდება და წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამის ანალოგს აჭარაში, - განაცხადა მარი ზანაქიძემ.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პაციენტებს სტაციონარული მკურნალობა სრულად უფინანსდება. პროგრამა ვაუჩერული მეთოდით ხორციელდება, ასევე, პაციენტს აქვს სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანის უფლება. მოსარგებლე ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის, ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

საკრებულოში მიმდინარე წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ სვლილებებზე იმსჯელეს

მარია მთავროსი 514 22 22 80

ბათუმის საკრებულოში გამართულ განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის სხდომაზე ორი საკითხი განიხილეს. სხდომას განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ცხომიძე უძღვეოდა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს მიმდინარე წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებზე. პროექტის მიხედვით, პროგრამულ ჭრილში განათლების მიმართულებით დაფინანსება იზრდება, მათ შორის, 4, 503. 3 ლარით - განათლების პროგრამის დაფინანსება, ხოლო კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის მიმართულება - 1, 688. 2 ლარით. კომისიის გადაწყვეტილებით, საკრებულოს წევრები საბიუჯეტო ცვლილებების საკითხს საკრებულოს მორიგ სხდომაზე განიხილავენ, ხოლო სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო საკითხს - ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე, საზაფხულო თეატრის მიმდ-



ბარედ, ენვერ ხაბაძის ბიუსტის განთავსების თაობაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულო მას შემდეგ განიხილავს, რაც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია გადაეგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ბიუსტის განთავსებასთან დაკავშირებით

მიღებული იქნება დადებით პასუხი, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 16 თებერვლის ბრძანების (№05/13) საფუძველზე. ბათუმის საკრებულოს მორიგი სხდომა 13 თებერვალს, 11 საათზე გაიმართება.

უკრაინა გააზრდულ თავდაცვას გადასული 3 კასი, რომელიც უსაფრთხეს «ლექსებს» 6

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიცანით გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



მინისტრმა სკოლების წარმომადგენლებს მოიხმინა არსებული საჭიროებების შესახებ

დარბინა ბაბაიძე 514 22 22 80

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჩიშვილმა, მოადგილე ჯემალ სურმანიძესთან, ხულოს მუნიციპალიტეტის მერ ვახტანგ ბერიძესთან და რესურსცენტრის ხელმძღვანელ ედუარდ მჭედიაძესთან ერთად ხულოს მუნიციპალიტეტის სკოლებში მოინახულა

მაია ხაჩიშვილმა უშუალოდ სკოლების წარმომადგენლებსგან მოისმინა არსებული საჭიროებები, მათი მოსაზრებები, ასევე გაეცნო სასწავლო პროცესს, ესაუბრა მოსწავლეებს.



სოფელ ოქრუაშვილების, დაბა ხულოსა და სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლების პედაგოგებთან და დირექციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ისაუბრეს განათლების სფეროში არსებულ სახალხოებზე, სამინისტროს პრეპეტებსა და გვეგებზე, სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებაზე მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და თითოეული სკოლის წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

სამუშაო შეხვედრა - უსკოში

დარბინა ბაბაიძე 514 22 22 80

აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, აუდიენცია უსკოს წევრებსა და ცესკოს თავმჯდომარეს შორის შედგა.

განიხილეს დაგეგმილი ცვლილებები და ისაუბრეს ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებითაც. 70-დან 90 %-მდე გაიზარდა იმ ამომრჩეველთა რიცხვი, ვისაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა ელექტრონული ფორმით შეეძლება. იმსჯელეს როგორც განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, ასევე 2023 წლიდან 2026 წლამდე დასახულ სტრატეგიულ სამუშაო გეგმაზე.



საარჩევნო უზენაესი გეგმარედა, ამომრჩეველთა უზენაესი გადართობა, სხვა ლოჯისტიკური საკითხები მათთვის წინასწარ არის ცნობილი. რა თქმა უნდა, ეს ადმინისტრაციისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ თავისი დაგეგმარების პროცესი ეფექტიანად განახორციელოს და არჩევნები მაღალ დონეზე, შესაბამისი სტანდარტების დაცვით ჩატარდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხედვა საარჩევნო რეფორმის ეფექტიან აღსრულებასთან დაკავშირებით და მის მიერ დაგეგმილი აქტივობები თანხვედრაში იყოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის საარჩევნო საქმიანობასთან იმისთვის, რომ ერთობლივი ძალისხმევით, უზრუნველყოფილი იქნება უზენაესი საარჩევნო უზენაესი გეგმარედა და ტრადიციული საარჩევნო უზენაესი გეგმარედა.

ეს სამუშაო შეხვედრა ემსახურება ჩვენი ხედვის, ჩვენ მიერ დაგეგმილი საქმიანობის და აქტივობების მათთვის გაზიარებას, რაც უზრუნველყოფს ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად, აღნიშნული რეფორმის ეფექტიან აღსრულებას. რამდენად ექნებათ ნდობა პოლიტიკურ პარტიებს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით? მთავარი არის ერთი რამ, პოლიტიკურ პარტიებს აქვთ თავიანთი ნარატივი თავიანთი დღის წესრიგიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია არის ობიექტური შეფასება იმ საკითხის, რომელიც ეფუძნება „ვენეციის კომისიის მოსაზრებებს“ და რომელმაც როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, საუბარი მაქვს ტექნოლოგიების გამოყენებასა და ტრადიციული საარ-

ახალი სოსილური პროგრამა მოქმედებას იწყებს

ვლადიმერ ცაბაძე 27 48 93

ქედის განვითარების დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური მიმდინარე წელს 21 პროგრამას განახორციელებს, რომლის ღირებულება 2 145 737 ლარია

როგორც ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ გვითხრა: „განვითარების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამ-



სახური ახალ პროგრამას - „ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის სერვისების თანადაფინანსება“ განახორციელებს. პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს პერსონალური ასისტენტი და შინ მოვლის სპეციალისტი ცხოვრების გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მიზნით დაეხმარება ისეთ საყოფაცხოვრებო ქმედებაში, როგორცაა: ჰიგიენური პროცედურების მხარდაჭერა; ჩაცმა, კვება, გადარეცხვა, წვრილმანი ტექნიკური საჭიროებები უზრუნველყოფა... ამ ეტაპზე პროგრამაში, რომელსაც ასოციატა „ანიკა“ ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს, 25 ბენეფიციარია ჩართული.

ანაზღაურებადი სტაჟირება, კარიერული განვითარება და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამები

დარბინა ბაბაიძე 514 22 22 80

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის წარმომადგენლები „Courtyard by Marriott Batumi“-ში, აჭარის რეგიონში ოპერირებდა კომპანიებს შეხვედნენ

შეხვედრის მიზანს იმ პროექტების და ღონისძიებების პრეზენტაცია წარმოადგენდა, რომელიც ბიზნესსექტორის ჩართულობა ახალგაზრდობის განვითარებისთვის ცალსახად მნიშვნელოვანია.

პრეზენტაცია ძირითადად ეხებოდა „კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის“ პროგრამას, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას აერთიანებს. კერძოდ: ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ სამუშაო გამოცდილებ-



ასთან ერთად მიიღონ ანაზღაურება, პროფესიული განვითარების მხარდაჭერის პროგრამას, რო-

მლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს ერთჯერადი გასაცემის სახით დაუფინანსდება სასურველ საგანმანათლებლო კურსებში მონაწილეობა 800 ლარამდე; საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერის პროგრამას, რაც გულმოდგინებით ახალგაზრდობის დაფინანსებას - 1500-მდე და საწევროს დაფინანსებას 1700-მდე ლარით; ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ახალგაზრდულ ფორუმს და ფესტივალს. აღსანიშნავია, რომ ანაზღაურებადი სტაჟირება 2022 წელს გაიარა 20-მა ახალგაზრდამ. ბიზნესსექტორის აქტიური ჩართულობით, 2023 წელს უფრო მეტი ახალგაზრდა მიიღებს გამოცდილებას პროფესიული მიმართულებით და დაეუფლება მისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

მინისტრის საქართველოს 4 მოქალაქე ემსხვერკლა

დარბინა ბაბაიძე 591 98 59 17

თურქეთში საქართველოს ელჩ გიორგი ჩანჭლავას განცხადებით, მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილია საქართველოს 4 მოქალაქე, დაკარგულ ერთ მოქალაქეს კი ამ დრომდე ნაგრებებში ეძებენ. მისივე ინფორმაციით, საელჩო სის შედგენაზე მუშაობს, რათა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებიც თურქეთის საზოგადო რეგიონებში არიან, უსაფრთხო გარემოში შეძლონ გადასვლა.

საბედნიეროდ, არ დაგვემეტა დაკარგულნიდან არავინ. საქმიანობის მხოლოდ ერთი კაცი დაგვრჩა. იმ შემთხვევაში, სადაც გვეგულება ჩვენი მოქალაქე, უკვე რამდენიმე მიცვალეული ამოიყვანეს და ველოდებით სამაშველო ოპერაციის მიმდინარეობას. ახლა ვმუშაობთ საქართველოს მოქალაქეებთან, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც უნდათ კონკრეტული რეგიონებიდან წასვლა, გაცოდეთ მათი ადგილსამყოფელი, სია გვქონდეს, რომ დავეხმაროთ რეგიონის დატოვებაში, - განაცხადა ელჩმა.

თურქეთში საქართველოს საელჩოს ვებ და ფეისბუქგვერდებზე ნათვამია, რომ 6 თებერვლს, თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარ ძლიერ მიწისძვრასთან დაკავშირებით, საქართველოს საელჩო მუშაობს საგანგებო რეჟიმში და მოქმედებს ცხელი ხაზი, რომელზეც თურქეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ და გაიგონ, ან მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია.

ცხელი ხაზის ნომერბა: +90 533-690-30-40, +90 539-220-82-80

არ გადააჭარბო სიჩქარეს!

დარბინა ბაბაიძე 591 98 59 17

საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით დაწყებულ მასშტაბურ კამპანიას „უკეთესი და უსაფრთხო გზები საქართველოსთვის“, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ევროკავშირისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის EIB-ის მხარდაჭერით ახორციელებს, შინაგან საქმეთა სამინისტროც შეუერთდა. კამპანიის მიზანია საზოგადოებაში აღნიშნული მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და საგზაო წესების დაცვის აუცილებლობაზე მოსახლეობის ინფორმირება. კამპანიის სლოგანია „არ გაიმეორო შეცდომა“ და ის კიდევ ერთხელ მოუწოდებს ადამიანებს, დაიცვან საგზაო უსაფრთხოება, გათვალონ რისკები და გაუფრთხილდნენ როგორც საკუთარ, ასევე სხვის სიცოცხლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში გვითხვით, რომ მათთვის პრიორიტეტული მიმართულება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაა, იქვე გვაცნობენ სტატისტიკას, რომლის თანახმადაც, 2022 წელს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღირიცხა სიჩქარის გადაჭარბების გამო მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების დაზარალებული 526 პირი, ხოლო ამავე სამართალდარღვევის შედეგად დაიღუპა 57 ადამიანი.



„უკრაინა გააზრებულ თავდასვაზეა გადასული“

ლუაზა ხომერიკი 593 50 82 69

დღესდღეობით დასავლეთის და რუსეთის დაპირისპირების არცაა უკრაინა. რუსეთი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს ამ ქვეყანაში, მიზანი მისი დაპყრობა და მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებაა. აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერა რომ არა, სავარაუდოდ, რუსეთი საწადელს მიადევნებდა და ცხადია, საფრთხე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც დაემუქებოდა. ომის რა ფაზაა ახლა უკრაინაში და მოვლენების როგორ განვითარებას უნდა გველოდოთ? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვსაუბრობთ დღეს GIPA-ს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორ ბიორგი კობერიძეს.



პრიგოვინი დასახავდა, გაიმართებოდა ასეთი მასშტაბური ბრძოლა. რუსებმა თავად დაიწყეს მალაკო-ცენტრირებული შეტევა ბამუტსა და მის სიახლოვეს მდებარე სოფლებზე. შესაბამისად, უკრაინელებმა სწორედ ამ ქალაქში შექმნეს წინააღმდეგობის ცენტრები, რომლის მიზანაც მოწინააღმდეგის მაქსიმალური გამოფიტვა იყო და არის.

- დასავლელი სამხედრო ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ აჯობებს უკრაინამ ბანამუტისთვის ბრძოლა არ აწარმოოს, რათა არ გამოიფიტოს, რას ფიქრობთ?
- ბანამუტიდან გამოსვლა ამ ეტაპზე არ არის სარჩევო. ქალაქის გასასვლელ-შესასვლელი ჯერ კიდევ დიაა. შესაბამისად, ალყის საფრთხე არ არსებობს. ამასთან, ნებისმიერი ქალაქი, რომელსაც დატოვებენ უკრაინელები, ისევ დასაბრუნებელი გაუხდებათ. ამიტომ, თითოეული ქალაქის დაცვა მნიშვნელოვანია. ამასთან, თუკი ბანამუტი აიღეს რუსებმა, შემდეგ იქნება ჩასივ იარი, კოსტინტინივკა, ან ნებისმიერი სხვა ქალაქი. ამიტომ, რაც უფრო შორეულ წერტილში უწევს წინააღმდეგობას, მით უფრო დაცული გაქვს სიღრმე. თუკი ბანამუტის ევაკუაცია მაინც შედგა, ეს მისი ალყაში მოქცევის საფრთხიდან გამომდინარე მოხდება. ბანამუტის შემდეგ რუსები ბანამუტის მომიჯნავე ჩასივ იარსა და სლავიანკისაკენ მიმავალ ჩრდილოეთის გზას შეუტევენ. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ სადაც რუსული ნაწილების მასშტაბური კონცენტრაციაა, სწორედ იქ მოხდეს მათი შეჩერება.

შეიარაღებული, იდეის არმქონე და დემორალიზებული ახალწვეული, რომელიც უცხო ტერიტორიაზე მიდის საომრად, ხშირად პირველი გამოჩნდება უკან ნებისმიერი სირთულის შემთხვევაში, ეს კი ქაოსის წყარო ხდება ხოლმე.

- ცნობილია, რომ დასავლეთის პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო დახმარება უკრაინისადმი ძალიან მნიშვნელოვანია საბოლოო გამარჯვებისთვის, უკრაინის „ლუობარდ 1“ ტაბის 80 ტანკი გადაეცემა და ასევე, 150 კილომეტრზე მსროლელი რაკეტები, ეს რისი მანიშნებელია?

- დასავლეთს გადაწყვეტილი აქვს, უკრაინის წელს სტრატეგიული უპირატესობა მოაპოვებინოს ფრონტის ხაზზე. რუსული არმიის ელიტური დანაყოფები და ყველაზე კარგ მდგომარეობაში მყოფი ტექნიკა კიევის, ხარკოვისა და მარიუპოლისათვის ბრძოლაში განადგურდა. ეს უმნიშვნელო რამ არ არის. რუსეთს კვლავ დიდი რესურსები აქვს დარჩენილი, მაგრამ დასავლური შეიარაღება სწორედ მოწინააღმდეგის პოზიციებზე შორიდან დარტყმის საშუალებას იძლევა. ჩვენ ვიხილეთ, როგორ შეცვალა ფრონტზე არსებული სიტუაცია „შაინარსა“. შეიძლება ითქვას, რომ კაკეტები, რომელთა წვდომაც 150 კილომეტრზეა, მოწინააღმდეგის ფორტიფიკაციებს დააქვეითებს, ხოლო დასავლეთის მიწოდებული ტანკები მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევის შესაძლებლობას შექმნის. თუმცა დასავლურ შეიარაღებას, განსაკუთრებით კი ჩელენჯერ 2-ს, აბრამსსა და ლეოპარდ 2-ს ათვისებისათვის დრო სჭირდება.

მათ დანაყოფებს სჭირდება სწრაფი და ასე შემდეგ. ეს კი ლოჯისტიკური თავის ტკივილია, რაც რუსეთის აქილევსის ქუსლადაა ქცეული. ამასთან, ცუდად შეიარაღებული, იდეის არმქონე და დემორალიზებული ახალწვეული, რომელიც უცხო ტერიტორიაზე მიდის საომრად, ხშირად პირველი გამოჩნდება უკან ნებისმიერი სირთულის შემთხვევაში, ეს კი ქაოსის წყარო ხდება ხოლმე...

სა, რომ რუსეთშიც მიმდინარეობს მობილიზაცია და ასობით ათასი ახალწვეულისაგან ქმნიან დანაყოფებს, მათი ეფექტურობა მაინც, უფრო მცირეა, ვიდრე უკრაინის, რადგან ათასობით მსხვერპლისა და მიზნის შეუსრულებლობის ფონზე იძულებით გაწვეული რუსი სამხედროს სამომავლო შემართება დაბალია. მით უფრო, რომ იგი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ცუდად აღჭურვილი იბრძვის იდეისთვის, რომელიც მისთვის გაუგებარია. რუსეთის მოცემული უპირატესობა ერთია - თითო უკრაინელის სიცოცხლე ბევრად მნიშვნელოვანია უკრაინის სამხედრო ძალებისათვის, ვიდრე თითო რუსის სიცოცხლე რუსეთის სამხედრო ძალებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ - რუსეთს საკუთარ სამხედროთაგან ბევრის გაწირვა შეუძლია.

- ვხედავთ, რომ ახლა ძირითადი ბრძოლა დონეცკის რეგიონში, კერძოდ, ბანამუტის მისაღმდეგ მიმდინარეობს, რა დანიშნულება აქვს ამ ქალაქს სტრატეგიული თვალსაზრისით როგორც უკრაინის, ისე რუსეთისთვის?

- ბანამუტის სტრატეგიული მნიშვნელობა მინიმალურია. მიუხედავად იმისა, რომ ბანამუტიდან გზა სლავიანსკამდე და კრამატორსკამდე - დიდ უკრაინულ ქალაქებამდე - მიემართება, მაინც, ბანამუტის ირგვლივ უკრაინული ფორტიფიკაციები მოწყობილი და ბანამუტის ევაკუაციის შემთხვევაში სტრატეგიული თვალსაზრისით არაფერი იცვლება. ერთადერთი, რაც ბანამუტს მნიშვნელობას ანიჭებს, მისი უკრაინელთა მხრიდან ფორტიფიკირებაა. მარტივად რომ ვთქვათ, მეშვიდე თვეა, უკრაინელები იცავენ ქალაქს, რადგან სწორედ ამ ქალაქზე იყო რუსული სამხედრო ძალების შემთავრების დაწესება. ნებისმიერი სხვა ქალაქისთვისაც, რომლის აღებასაც „ვაგნერის“ უფროსი ევეკენი

სებმა, შემდეგ იქნება ჩასივ იარი, კოსტინტინივკა, ან ნებისმიერი სხვა ქალაქი. ამიტომ, რაც უფრო შორეულ წერტილში უწევს წინააღმდეგობას, მით უფრო დაცული გაქვს სიღრმე. თუკი ბანამუტის ევაკუაცია მაინც შედგა, ეს მისი ალყაში მოქცევის საფრთხიდან გამომდინარე მოხდება. ბანამუტის შემდეგ რუსები ბანამუტის მომიჯნავე ჩასივ იარსა და სლავიანკისაკენ მიმავალ ჩრდილოეთის გზას შეუტევენ. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ სადაც რუსული ნაწილების მასშტაბური კონცენტრაციაა, სწორედ იქ მოხდეს მათი შეჩერება.

- რუსეთმა მობილიზაცია მეორედ გამოაცხადა. ეს მობილიზებული სამხედროები რამდენად ანგარიშგასაწევი ძალაა გარკვეული მიზნების მისაღწევად?

- ცოცხალი ძალა მნიშვნელოვანია ნებისმიერ ომში, მაგრამ ამ მობილიზებულთა ეფექტურობა ისეთი მაღალი არ არის, როგორც ადრინდელის. ახლა კარგად აღჭურვილი და გაწვრთნილი დანაყოფები იგებენ ომს და არა ცუდად აღჭურვილადამიანთა დიდი მასა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ცოცხალ ძალას მოწინააღმდეგის რიგებში შეუძლია გარდგევა მოახდინოს და შემდგომი იერიში უკეთ გაწვრთნილმა სამხედროებმა გააგრძელონ. დაახლოებით ასე მოხდა სოლდარისათვის ბრძოლის დასკვნით ეტაპზე. როდესაც რუსებმა დაახლოებით 15-20 ათასი ადამიანი დაკარგეს (დაჭრილებიც და მოკლულებიც), მაგრამ ქალაქის აღება მაინც შეძლეს. ხანგრძლივ ომში ცოცხალი მასას ადარაქვს ასეთი ეფექტურობა, რადგან თითოეულ მობილიზებულ სამხედროს სჭირდება სამუშაო, სასმელი, შეიარაღება, მათ დანაყოფებს სჭირდება საწვავი და ასე შემდეგ. ეს კი ლოჯისტიკური თავის ტკივილია, რაც რუსეთის აქილევსის ქუსლადაა ქცეული. ამასთან, ცუდად

ყველაზე კარგ შემთხვევაში ამ ყველაფერმა რამდენიმე თვე შეიძლება წაიდოს.

- დასავლელი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ აშშ და კოლექტიური დასავლეთი ომის განანგრძობას ცდილობენ, რათა რუსეთი გამოიფიტოს, ანუ არ არიან დაინტერესებული უკრაინის სწრაფი გამარჯვებით, თქვენ აზრი როგორია ამის შესახებ?

- დასავლეთისათვის ამოცანა მარტივია - რუსეთი არა მხოლოდ ბრძოლის ველზე უნდა დამარცხდეს, არამედ პოლიტიკურადაც და ეს ყველა ავტოკრატიული რეჟიმისთვის იყოს გაკვეთილი, რათა აღარავის მოუხდეს აგრესიის წამოწყება. დასავლური შეიარაღება გამოწვევადან გამომდინარე დაიწყო. თავდაპირველად წამოვიდა ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება, რადგან მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა უქმნი და უკრაინის, შემდგომ - ხომალდსაწინააღმდეგო და შაერსაწინააღმდეგო შეიარაღება, რამაც უკრაინის ცა და სანაპირო შედარებით უსაფრთხო გახადა. ამას მოჰყვა შორის მსროლელი მაღალი სიზუსტის არტილერია, რომელმაც მოწინააღმდეგის ზურგი გამოფიტა. აღნიშნულ პროცესს დაერთო აღმოსავლეთ ევროპაში დარჩენილი საბჭოთა შეიარაღების მოძიება და გადაცემა დასავლეთურ ჯავშანტრანსპორტიორებთან ერთად, რომელთაც უკრაინული შეტევა ხარკოვის მიმართულებით შესაძლებელი გახადეს. ამჟამად მიმდინარეობს სტრატეგიული შეიარაღება, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, დასავლეთი მოქმედებს იმ ამოცანიდან გამომდინარე, რომელიც ახლა უკრაინის წინაშე დგას. ტემპი რომ უფრო სწრაფი იყოს, ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელი იქნებოდა.

- უკრაინელი და ასევე დასავლელი სამხედრო ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ არ არის გამორიცხული, რუსეთმა თებერგლის მიწურულს კვლავ განახლოს იერიში კიევზე, რამდენად მოსალოდნელია მსგავსი რამ?
- რუსული შეტევა მოსალოდნელია, რადგან ამ რაოდენობის ცოცხალი ძალის მხოლოდ დაცვაში დაყენება სხვადასხვა რესურსის ხარჯვას დააჩქარებდა. არის რამდენიმე სცენარი - ბელარუსიდან თავდასხმა დასავლეთ უკრაინაზე ან კიევზე, რაზეც ყველაზე ხშირად საუბრობენ. აღნიშნული პოტენციური იერიში სუიციდური იქნებოდა, რადგან წინა წლის თებერგლისაგან განსხვავებით ახლა ბელარუსთან მთელი საზღვარი გამაგრებული აქვს უკრაინისა და 2022 წლის შესაძლებლობებით თუ ვერ შეძლეს რუსებმა დედაქალაქის აღება, ან დასავლეთ უკრაინაში შესვლა, ახლა კიდევ უფრო ნაკლებია ამის ალბათობა. შესაბამისად, თუკი პოლიტიკური გადაწყვეტილება არ მიიღეს კრემლში, ნაკლებად სავარაუდოა, სამხედროებმა ამ მისი დაუჭირონ მხარი. არის სხვა ვარიანტებიც, მათ შორისაა რამდენიმე სინკრონიზებული იერიშის წამოწყება ლუგანსკის, დონეცკისა და ზაპოროჟიის რაიონებში. ეს სცენარი უფრო შესაძლებელია, მაგრამ უკრაინელები იმდენად დეტალურ ინფორმაციას იღებენ რუსული ჯარის გადაადგილების შესახებ დასავლეთისაგან, რომ მოულოდნელობის ეფექტი შედარებით დაბალი უნდა იყოს.

- რუსეთი რომ არაპროვოზირებული ქვეყანაა, ცნობილია. რამდენად რეალურია ბირთვული ომის საფრთხე, თუნდაც ტაქტიკური იარაღის გამოყენების თვალსაზრისით?

- ბირთვული იარაღის საფრთხე ამ ეტაპზე მინიმალურია. თუკი უკრაინელები ყირიმამდე მისვლას და ნახევარკუნძულის გათავისუფლებას დაიწყებენ, შესაძლებელია რუსეთის მხრიდან ბირთვულ იარაღზე აპელირება, ან მისი საჩვენებელი გამოყენება მოხდეს, მაგალითად, დაუსახლებელ კუნძულზე ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში, მაგრამ ჯერ არასდროს ყოფილა იმის პრეცედენტი, რომ თავდასხმით, აგრესიულ ომში ბირთვული შეიარაღება გამოყენებინოს ვინმეს. მეორე მსოფლიო ომში აშშ, დიდი ბრიტანეთი და მათი მოკავშირეები თავდაცვით ომს აწარმოებდნენ იაპონიისა და ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ. ეს კი თავდასხმით, დამპყრობლური ომი. შესაბამისად, მისი გამოყენების დაშვება ნიშნავს, რომ ყველა ბირთვულ სახელმწიფოს ეძლევა უფლება, თუკი მის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, დაპყრობითი ომი წამოიწყოს და ატომური ბომბიც გამოიყენოს მიზნის მისაღწევად. პანდორას ყუთით იქნება, თუ ერთი პრეცედენტი შეიქმნა, ამას შემდეგ ყველა შესაბამისი რესურსის მიქნევა სახელმწიფო გააკეთებს. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასე მარტივად გადაწყვეტონ ბირთვული იარაღის გამოყენება. ყოველ შემთხვევაში ომის ამ ეტაპზე მაინც.

- უკრაინის სრული გამარჯვებისათვის სამი კომპონენტია მნიშვნელოვანი, აცხადებენ ანალიტიკოსები: ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, რუსი სამხედრო დამნაშავეების გასამართლება და დასავლეთის მკაფიო დახმარება, ამ მხრივ ყველაზე რთული რომელი კომპონენტია?

- დასავლური შეიარაღებით ტერიტორიების დეოკუპაცია უფრო რეალისტურია, ვიდრე დამნაშავეთა გასამართლება. იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის გასამართლება შავაში სწორედ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც თავად სერბეთმა გადასცა იგი, რუსეთთან დაკავშირებით კი ამის შესაძლებლობა ამ ეტაპზე ნაკლებია.

- ცხადია, გერმანს ვერ აუფულოთ რუსეთზე დაწესებულ სანქციებს, აქვს კი მას ის შედეგი, რასაც დასავლეთი ელოდა?

უხსოვარი

თურქეთსა და სირიაში მიწისპირის შედეგად 21 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, - ინფორმაციას მემდინარეობები ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით ავრცელებენ. მათივე ინფორმაციით, თურქეთში 17 674 ადამიანი დაიღუპა, ხოლო სირიაში - 3 377. მაშველები ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების ძებნას განაგრძობენ, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად მათი გადარჩენის იმედიც მცირდება. ამასთან, ყინვა საფრთხეს უქმნის თავშესაფრის, წყლისა და საკვების გარეშე დარჩენილ ათასობით ადამიანს, რომლებიც მიწისპირას გადაურჩნენ.

უკრაინისკენ გასროლილი რაკეტა მოლდოვის რესპუბლიკის საპარო სივრცეში შეიჭრა და ჯერ დნესტრისპირეთის რეგიონის ქალაქ მოკრას თავზე, მოგვიანებით კი სოროკის რაიონის ქალაქ კოსაუნის თავზე აღმოჩნდა, - ამის შესახებ გუშინ მოლდოვის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს. „მტკიცედ ვგმობთ მოლდოვის რესპუბლიკის საპარო სივრცის დარღვევას“, - აღნიშნულია უწყების განცხადებაში. მოლდოვის საპარო სივრცის დარღვევის შესახებ ინფორმაცია უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა ვალერი ზალუჟინმაც გაავრცელა.

საფრანგეთი უკრაინას მოიერიშე თვითმფრინავებს უახლოვს კვირებში არ გაუგზავნის, მაგრამ მომავალში აბსოლუტურად არაფერია გამორიცხული, - განაცხადა საფრანგეთის პრემიერ-დენტმა ბირჟელმა მაკრონმა. მისი განმარტებით, უკრაინელი ჯარისკაცები ფრანგული თვითმფრინავების მართვისთვის საჭირო ცოდნას არ ფლობენ და მათ უჭირთ, შეიძლება, თვეები დასჭირდეს, ამიტომ ისინი ამჟამად სხვა, უფრო გადაუდებელ საჭიროებებზე ფოკუსირებას ანიჭებენ უპირატესობას. მაკრონმა ხაზი გაუსვა, რომ მოკავშირეებმა პრობლემები უნდა მიანიჭონ აღჭურვილობას, რომელიც რუსეთთან ბრძოლაში უკრაინის საბოლოო მიზნის მისაღწევად ყველაზე სასარგებლო და ეფექტური იქნება.

ჩვენ არ დაგვიწყია საომარი მოქმედებები, ჩვენ ვცდილობთ დავასრულოთ, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით. მისი მტკიცებით, საომარი მოქმედებები უკრაინაში „ნაციონალისტებმა“ დაიწყეს. „ეს საომარი მოქმედებები წამოიწყეს „ნაციონალისტებმა“ უკრაინაში და მათ, ვინც მხარი დაუჭირა 2014 წელს, როდესაც სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა, აქედან დაიწყო ყველაფერი. ამას მოჰყვა მოვლენები ყირიმისა და დონბასში“, - განაცხადა პუტინმა.

კომპანია „მეტა“ აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ფეისბუქისა და ინსტაგრამის ანგარიშებზე წვდომა აღუდგინა. დონალდ ტრამპის ანგარიშები 2021 წელს დაიბლოკა - მას შემდეგ, რაც ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებმა კაპიტოლიუმზე შტურმი განახორციელეს. მაშინ კომპანიაში მიიჩნეს, რომ პოლიტიკოსის პოსტებმა შესაძლოა სოციალური ქსელის მომხმარებლებს არეულობასა და ძალადობისკენ მოუწოდოს.



„ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების მსოფლიო საზოგადოებისთვის ღირსეულად გასწავლას“

ლუაზ ხომეიკი 593 50 82 69

ბათუმელი ქალბატონი, ბსუ-ის პროფესორი, ლიტერატურათმცოდნე, რუსთველოლოგი, მკვლევარი შორენა მახაჩაძე განსაკუთრებული და გამორჩეული პიროვნული მშვენიერებით, დიდი ცოდნით და ჰუმანურობით, სიახლისკენ სწრაფვითა და შემოქმედებითი ძიებით... ვისაც თუნდაც ერთხელ მისი საჩარო ლექციები მოუსმენია „ვეფხისტყაოსანზე“, შეუძლებელია, დროს პატივისცემით არ განეწყოს მისადამი. ნიშნდობლივია ისიც, რომ ქალბატონ შორენას დიდი წვლილი შეაქვს თანამედროვე ლიტერატურული პროცესების კვლევაში. მის მიმართ ინტერესი და სიყვარული არა მარტო ბათუმში, არამედ სრულიად საქართველოში დღითი დღე იზრდება. უბაღლო ორატორის, ბრძენი, ქარიზმატული პიროვნების ეს ინტერვიუც ამ განწყობის გამოძახილია.



|| დღევანდელი ენა არის ბარბარიზმებით, ვულგარიზმებით, უარგონით, კალკებით გაჯერებული, ადარაფერს ვამბობ, ელემენტარული ქართული გრამატიკისა და მართლწერის საკითხების უცოდინრობაზე. ჩემი აზრით, ამას არაფერი ეშველება, სანამ სკოლებში თავის სრულ უფლებებში არ აღდგება ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების სწავლება!

- ქალბატონო შორენა, საზოგადოებისათვის ძალიან ცნობილი და პატივსაცემი, აღიარებული პიროვნება ხართ, მეცნიერი, გამორჩეული მკვლევარი... ჩვენს ქალაქშიც და მთელ საქართველოში სიხარულით ისმენენ თქვენს საჩარო ლექციებს... როგორი იყო პირველი ნაბიჯები ამ დიდ გზაზე?

სიტყვა „გამოკვლევები და რეცენზიები აჭარაში მოღვაწე მწერლებზე“, ჩვენს კუთხეში მხატვრული სიტყვის განვითარების სურათს გადაგვიშლის. ამასთან დაკავშირებით, დასკვნის სახით, გავაცანით თქვენი შთაბეჭდილებები და სამომავლო პერსპექტივები.

ძლია „შოს“ თქმა. რა თქმა უნდა, ვამბობ ძალიან მტკიცე „არას“, როცა მხედველობა და, საუბრედროდ, დღეს ეს არაიშვიათია, ებატაჟური, ვულგარიზმებით, სკაბრებით, ცინიზმითა და ყველაფერ ქართულის, ტრადიციულისადმი ზიზღითა და სიძულვილით სავსე, რა დავაგვქვა, არ ვიცი, ცრულიბერალური, ცრულიტერატურული ტექსტები. მართალია, „უსიტყვილოს თუ არ არცხვნი“, ბაძით მორცხვიც გურცხვდესო“, მაგრამ მსგავს „მწერლებზე“ არანაირი შერცხვენა არ მოქმედებს, მით უმეტეს, თავისი მადიდებელი კრიტიკოსებიც ჰყავთ და მათთან კამათს აზრი არ აქვს, ამ ხანმოკლე წუთისოფლის მზიან და ფერად დღეებს დაგაკარგვინებს მხოლოდ. მეგობ, ხელოვნებისთვის დრო არის ყველაზე დიდი კრიტიკოსიცა და ყველაზე მკაცრიცა და სამართლიანი განმსჯელ-დამსჯელიც, ის არქმევს თეთრს - თეთრს, შავს კი დავ - შავს.

გაზრდები მობილურ ტელეფონებზე როგორ იყვნენ მიჯაჭვულნი. კობაძეც გადაწყვიტა, მობილური და „ვეფხისტყაოსანი“ დაეკავშირებინა ერთმანეთთან. თავდაპირველად, როცა ეს იდეა გამაცნო და დახმარება მიხვდა, სასტიკი უარი მიიღო. საქმე ისაა, რომ ყოველთვის მკრეხლობად მიმჩნა „ვეფხისტყაოსნის“ უმშვენიერესი ტექსტის ადაპტირება, მაგრამ კობას აღმოაჩინა საკუთარი მოსაზრების არგუმენტიერული შესანიშნავი უნარიც. ამასთან, მოგესვენებათ, ბებიები საყვარელ შვილიშვილებს თხოვანზე უარს ვერ ვუბნობთ და... ასე დაიწყო ბებიის-შვილის შიშისანი თანამშრომლობა, რომელიც დღესაც გრძელდება. ჩვენი უმთავრესი არგუმენტი ადაპტირებული ტექსტის შექმნის ისაა, რომ როცა მკითხველი გაიგებს შინაარსს, მას შესაძლოა, გაუჩნდეს ორიგინალი ტექსტის წაკითხვის სურვილი, რომლითაც ერთდროულად ინტელექტუალურ და ესთეტიკურ სიამოვნებას მიიღებს. ესაა, დავგეთანხმებით, „ვეფხისტყაოსანი“ ის ნაწარმოებია, ყველა ქართველმა რომ უნდა წაიკითხოს, გაიგოს და გაითავისოს. უფრო მეტიც, მან უნდა შეძლოს მსოფლიოს კულტურულ საზოგადოებას ჯეროვნად წარუდგინოს ეს ერთგული განძი, ასე რომ, აპლიკაციის შექმნის იდეა, დიზაინი, ტექსტის გასარილების ფუნქცია, რომელიც ასე პოპულარულია მომხმარებლებს შორის, კობას ეკუთვნის. თავადვე ყველა რეკლამის ავტორი. აპლიკაციის მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და მან 100 000-ს გადააჭარბა. აპლიკაციის გუნდის სახელზე კი უამრავი სამაგიეროელი შეტყობინება მოდის. ეს უკვე იმის მანიშნებელია, რომ მობილური აპლიკაცია თავის ფუნქციას კარგად ასრულებს, რუსთაველის გენიალური პოემა ყველასათვის ხელმისაწვდომი და, რაც მთავარია, მარტივად გასაგები გახდა. აპლიკაციის დევიზი: „ვეფხისტყაოსნის“ გაგება ასე მარტივად არასოდეს ყოფილა - პრაქტიკულად მუშაობს. სხვათა შორის, კობამ მეორე აპლიკაცია შექმნა, ამჯერად უკვე მძღოლებსათვის - „ბორბალო“. კობა ამჟამად ბოსტონის უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნოლოგიების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია.

მელიც უდიდეს ცხოვრებისეულ, პრაქტიკულ სიბრძნესაც შეიცავს ყველა დროისათვის, ანუ 21-ე საუკუნეშიც ისევე აქტუალურია, როგორც, ალბათ, რუსთაველის თანამედროვე ეპოქაში იყო. პოემის ლამის ყველა სტრიქონი, ყველა სტროფი, ეპიზოდი რაღაცაზე დავაფიქრებს, რაღაცას გვასწავლის. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ გამოვყავით „ვეფხისტყაოსნის“ აპლიკაციაში ცალკე აფორიზმები. ისინი სამი პრინციპითაა დალაგებული: თავების, თემებისა და ანბანის მიხედვით - ვის როგორ სჭირდება და მოეხერხება. დავამატებ: აპლიკაციის ეს განყოფილება განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ვფიქრობ, ასეთი უამრავი აფორიზმი „ვეფხისტყაოსანში“. მაინც ვცადოთ გამოყოფა, თუმცა ეს, ალბათ, მეტისმეტად სუბიექტური იქნება. ვფიქრობ, ჩვენთვის ამ პოემის ყველა სტრიქონი განსაკუთრებულია, მათში ხომ დასაყრდენია ქართველების გენეტიკური კოდი. ის, თუ როგორებად მოვედით დღემდე, როგორი მენტალიტეტით, როგორი ფსიქოლოგიით, როგორი ცხოვრებისეულ-ზნეობრივი პრინციპებით, ბევრწლიად სწორედ ამ პოემითაა განბიძგებული. ამიტომაც არიან ქართველი კაცები ერთდროულად ტრადიციული ძლიერები და მგრძობიარენი, ავთანდილივით მახვილგონიერები და არტისტულნი, ლაღები, თავისუფლებანი მყოფნიც, ამიტომაც არიან ქართველი ქალები ნესტანივით მომხიბლავები, ერთდროულად კდემამოსილები და ვეფხვივით შეუპოვრები (დღევანდელი ნიშისტები, ალბათ, ირონიულად დიმილს და მორიგ ცინიკურ რეპლიკას არ დაიშურებენ ამ სტრიქონების წაკითხვისას, მაგრამ ჩვენ - ქართველებს გვყავს ტარიელ-ავთანდილივით კაცებიც და ნესტან-თინათინივით ქალებიც, ეგაა ოღონდ, ისინი ჩრდილში არიან, ხოლო საინფორმაციო საშუალებებით ფაქტმან-ჭამაგირებისა და ქაჩების რეკლამირება ხდება რატომღაც, თუმცა ესეც დროებითი მოვლენა მგონია). დავუბრუნდეთ აფორიზმებს: ჩემი აზრით, უბარველესი მაინც ესაა: „ბორბალო საძლია კეთილმან, არსება მისი გიძელია“. ეს აფორიზმი ღვთის რწმენასაც გულისხმობს, რადგან ამ რწმენის გარეშე იმ ქარიზმლიანი, უმეტესად ბნელი და მძიმე საუკუნეების გამოვლა, დღემდე მოსვლა და „მეობის“ შენარჩუნება ქართველ ხალხს გაუჭირდებოდა. მეორე: „ჭირსი შვიან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითარსა“ - ესეც ქართველი კაცის გაუტეხლობისა და ჭირსადმი მდევგობის გამომხატველი ფორმულა მგონია. და მანამ: „ხედავ ცდაა, გამაგრება დემროთსა უნდეს, მოცა-ხედავბის“ - ადამიანი არასოდეს უნდა დანებდეს ბედს, ყოველთვის უნდა იბრძოდეს გამარჯვებისთვის. ასეც იქცეოდა საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხი. იქნებ, თქვათ, სად არის „სიყვარული ავგამალდებს“, „ვინ მოყვარესა არ ეძებს...“ და ასე შემდეგ? იქ არის - „ვეფხისტყაოსანში“ და დღემდე მოგვდევს და ქვეყნეულად (სულაც რომ არ უყვარს კითხვა, ისეთ ქართველსაც კი) საჭირო დროს გაასხენებს ხოლმე ადამიანობის არსს. ამიტომაცაა რუსთაველის პოემა „წიგნთა წიგნი“!

- ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, რომელიც ისე თავდაუზოგავად და ნაყოფიერად შრომობდეს, როგორც თქვენ, იშვიათია. თქვენი პიროვნული სიძლიერის წყარო...

- „პირველად იყო სიტყვა“ 2019 წელს დაიბეჭდა. მასში, ფაქტობრივად, თავი მოუყარე ყველა იმ ნაშრომს, რომლებზეც წლების განმავლობაში ვმუშაობდი, შესაბამისად, მისი თემატიკა მრავალფეროვანია: მასში შეხვდებით როგორც გასული საუკუნის 20-30-იან წლებში, ასევე პოსტმოდერნისტულ ეპოქაში შექმნილი ტექსტების ანალიზს. შეგვიცადე, წიგნში დამეხატა მეოცე საუკუნის სამყაროს სურათიცა და ლიტერატორათა პალიტრაც, ასევე, მიმოვიხილე მითოლოგიური თეორიები, ყურადღება გავამახვილე ე.წ. ოტტებელსა და 60-70-იანი წლების მწერლობის როლზე ქართული ლიტერატურის ისტორიაში. თქვენ სწორად შეგინიშნავთ: კრებულში ცალკე ნაწილი ეთმობა აჭარაში მოღვაწე ქართველი მწერლების შემოქმედებას, რომელიც დავასათაურე ასე: „და სიტყვა იყო დემროთ“, რადგან, თუ დიდ ფრიდონ ხალვაშს დავესესხებო: „აჭარაში ქართული ენა იყო უმთავრესი რელიგია... აჭარის ცხოვრებაში მწერლობის როლი თვით პოლიტიკურ სისტემათა როლზეც უფრო დიდმნიშვნელოვანი იყო“. რა თქმა უნდა, „დათა თუთაშნია“ გერაფრით წავაკითხე, მესამედ რჩება საგანი, ამბიციურად მიცხადებს, რომ ის მწერალია (თურმე მუშაობს პროზაშიც, პოეზიაშიც!) და რა განხდა ეს ჩემი საგანი?! ისევე ჩვენი „მზიანი გულის“, უგანათლებულესი შემოქმედის ანეკდოტი მახსენდება: ჩვენი, ბატონო, მწერლები ვართ, მკითხველები კი არაო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! მეტი რა გითხრათ... რაც შეეხება ერზაყვლიტერატურიდან გამოსავალს, ზემოთ უკვე მოგახსენეთ: მივედით საუკეთესო მსაჯულის - დროის ობიექტურობას.

- თქვენი საჩარო ლექციები „ვეფხისტყაოსანზე“ ბევრს იზიდავს. გლობალიზაციის ფონზე ეს ნაწარმოები როგორ სავსურდება თანამედროვეთა წარმოდგენაში და რა როლი მიუძღვის ნაწარმოების მხატვრულ აღქმასა და გაზარდაში განმარტებულ მობილურ აპლიკაციას, „ვეფხისტყაოსნის“ აპლიკაციის გუნდმა რომ შეიმუშავა? მისი ავტორი ხომ თქვენი შვილიშვილი, სტუდენტი კობა უნდებოდა...
- ბატონო ლაშა, დიდი მადლობა ამ კითხვისთვის. ეს პროექტი ძა-

- ცხოვრების ყველა ეტაპზე იყო და არის ჩემი ოჯახი, რომელიც მუდამ გვერდით მდგას. მეტწიშით, ამის გარეშე ვერაფერს შევძლებდი. ვაღიაროთ, ქალებისთვის განსაკუთრებით რთულია ოჯახისა და სამსახურის, თუნდაც, მეცნიერული მუშაობის შეთავსება. შვილებს გაზრდა და აღზრდა სჭირდება, ამას ემატება უამრავი საყოფაცხოვრებო პრობლემა, რომელიც ჩვენს, ჯერ კიდევ მოუწესრიგებულ ყოველდღიურობაში, ბლომად გვაქვს, მით უმეტეს, გვექონდა იმ მართლა ავადსახსენებელ, ბნელ და დუბჭიარ 90-იანებში, როცა 10 კვირცხის ფასად მთელი თვე ვმუშაობდით. დედაჩემს რომ ჩემი ორი შვილისთვის არ მოევლო მთელი წლის განმავლობაში, ან მეუღლეს რომ ხელი არ შეეწყო ჩემთვის, როცა თბილისში ნაშრომზე ვმუშაობდი, დისერტაცია - „მითი და რეალობა დათა თუთაშნიაში“ - დღესაც არ მექნებოდა დაწერილი-დაცული. ვერა ჩემი მოზრდილფორმატიანი კრებული - „პირველად იყო სიტყვა“ დაიბეჭდებოდა ჩემი, თუნდაც, პროფესორის ხელფასით, ჩემს სიძემ: ბესო უდენტს რომ არ დაეფინანსებინა.

- თქვენი წიგნი „პირველად იყო

- თქვენი წიგნი „პირველად იყო

- როცა ლიტერატურის სამანებში მოგზაურობთ... თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა და ქართველი მწერლები...

- უნდა ვაღიარო, რომ მსოფლიო ლიტერატურას ბევრად მეტს ვკითხულობდი ახლავარდობაში, ვიდრე ახლა, თუმცა, პროფესიიდან გამომდინარე, მიწვევს თვალის მიდევნება გლობალური ლიტერატურული პროცესებისადმი. ისიც უნდა



ვიზიტორებისთვის უფრო მიზიდვადი რომ გახდეს...

მანანა კიბიჭვილი 598 24 94 97

ბათუმის ბოტანიკური ბაღი ის ადგილია, სადაც წელიწადის ნებისმიერ დროს შეგიძლია მიხვიდე, დატკე იქ არსებული ფლორითა და ფაუნის იშვიათი კოლექციით, განიტვიცთ, სულიერადაც დაისვენო

ის ჩვენი კუთხის შესანიშნავი სავიზიტო ბარათია. ბაღს მერვე წელია (2016 წლის აპრილიდან) ხელმძღვანელობს **ირაკლი არჩაია**. მან ბათუმში დამთავრა სკოლა, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, შემდეგ თბილისში სწავლობდა. იქ დაიწყო იურიდიული მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობა. ბათუმში დაბრუნებული კერძო კომპანიაში მუშაობდა, შემდეგ იუსტიციის სახლში საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობდა.

მართალია, ირაკლი არჩაია ბოტანიკოსი ან ბიოლოგი არ არის, მაგრამ ეს ნამდვილად არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას, რომ ორგანიზაცია იყოს წარმატებული, მთავარი საქმის სიყვარული, მონდომება და შრომაა. ამბობს, რომ დიდი პატივია, იყოს ძალიან დიდი ისტორიის მქონე ბოტანიკური ბაღის დირექტორი, რომელსაც სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ - მუზეუმი ღია ცის ქვეშ, მსოფლიო ფლორა და ეს მართლაც ასეა.

როგორც გვითხრა, ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ეგზოტიკურ მცენარეებს უკავია. რა თქმა უნ-

ამის მიხედვით გაგრძელდება მუშაობა.

ბოტანიკურ ბაღში 17 განყოფილებაა, ყველას თავისი ფუნქცია და სამუშაო კუთხე აქვს, ბაღის ხელმძღვანელობას ძალიან უყვარს სიახლეები. იმედოვნებენ, რომ 2025 წელს ბოტანიკურ ბაღს ახალი ადმინისტრაციული შენობა ექნება, სადაც არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებს უმასპინძლებენ, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს ბაღს.

ბაღის ტერიტორია 110 ჰექტარია და მის საფუძვლიან დათვალიერებას ერთი დღე ნამდვილად არ ჰყოფნის, რადგან ბევრი საინტერესო ადგილია მის სიღრმეებში. საერთოდ, აქ 20 ათასამდე მცენარეა წარმოდგენილი. ბაღში შეგიძლიათ ისარგებლოთ გიდის მომსახურებით, რომელსაც ადგილზე აიყვანთ, გადაადგილდეთ ელექტრომობილით, ეწვიოთ საბიკნიკე და ბიზნესსივრცეებს... პანდემიისა და შემდგომ პერიოდში ბაზარზე ფასები ძალიან გაიზარდა, მაგრამ აქ მაქსიმალურად შეეცადნენ, რომ ბაღში ვიზიტი ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

ბოტანიკურ ბაღში ძალიან ბევრი ულამაზესი ადგილია. მათ შორისაა კავკასიური განყოფილება, სადაც ზაფხულში გამოჩეულია გრილი. აქ თითქმის ყოველდღიურად მასპინძლობენ მოსწავლეებს, შშმ პირებს. გასულ წელს გამოსცეს სპეციალური ბუკლეტები კამელებისა და ნეკერჩხლებზე, რომლის გამოფენებაც უკვე უმასპინძლეს. ახლა ემზა-



რომ დაინიშნა, იმ პერიოდში ძალიან აქტიურად ხორციელდებოდა ფონდ «ქართუს» მიერ დაგეგმილი და დაფინანსებული პროექტები. ფონდს ბიძინა ივანიშვილთან ერთად, ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ბაღის გადარჩენასა და შენარჩუნებაში. აქ მცხოვრები მოსახლეობის გასახლებაზე დაიწყო საუბარი. ეს მართლაც უდიდესი საქმე იყო და ბაღის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი. აქ მცხოვრები 42 ოჯახიდან ირაკლი არჩაიას რამდენიმე ოჯახი დახვდა და პროცესი მან ბოლომდე მიიყვანა. თითოეული ოჯახი

გას, რომ ბაღი საიმედო ხელშია. დაიწყეს დამოუკიდებლად ფინანსური არსებობა - ბაღი თავის თავს სრულად აფინანსებს, აქ შედის როგორც თანამშრომელთა ხელფასი, ასევე, შესყიდვები, გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა ასევე ხმარდება ბაღის ტერიტორიის მოვლა-პატრონობას და განვითარებას. ბაღს გვერდით უდგას ქალაქ ბათუმის მერია, პირადად მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბაღი წლიდან წლამდე განვითარდეს და იყოს მაღალი სტანდარტის.

შარშან ბოტანიკურ ბაღს 110 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით არაერთი ღონისძიება გაიმართა. ამერიკელებმა მათ საგანმანათლებლო ტრენინგი ჩაუტარეს, ასევე, ბოტანიკური ბაღის ორი თანამშრომელი ზაფხულში ამერიკაში გაემგზავრება. ბაღის ხელმძღვანელობის სურვილია, რომ ჩვენთან გაიმართოს საერთაშორისო სემინარები, ჩამოიყვანონ მსოფლიოდან ბოტანიკური ბაღების წარმომადგენლები, გააცნონ მათ ჩვენი ბაღის ისტორია. და ყველაზე მთავარი, რაც სურთ ისაა, რომ ბაღის განვითარების სტრატეგია შექმნან, როგორც ირაკლი არჩაია აღნიშნავს, მათ ხშირი კომუნიკაცია აქვთ ევროპისა და ამერიკის ბოტანიკურ ბაღებთან.

წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღი არაერთ სიახლეს გვპირდება, ახლა მოსამზადებელი ეტაპებია. სურთ ფიტოსანიტარიის მიმართულებით უმასპინძლონ საერთაშორისო სემინარს, სადაც ისაუბრებენ ისეთ თემებზე, როგორცაა მცენარის დაცვა, მავნებლებთან ბრძოლა. ჩამოვლენ მსოფლიოს ექსპერტები, იქნება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ჩატარდება ისეთივე ღონისძიებები, სხვა ქვეყნებში რომ ტარდება. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, ბაღის პროპაგანდას.

დამთავლიერებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ ბაღში შესასვლელი ბილეთის ფასი მაღალია. როგორც ირაკლი არჩაიამ გვითხრა: «ბილეთი ღირს 20 ლარი, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებისთვის 10 ლარია. გარდა

|| აქ მნიშვნელოვანი, ძირფესვიანი სამუშაოები ჩატარდა იმისთვის, რომ ორგანიზაცია მაღალ სტანდარტულ სიმაღლეზე აყვანათ. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბაღი საიმედო ხელშია. დაიწყეს დამოუკიდებლად ფინანსური არსებობა - ბაღი თავის თავს სრულად აფინანსებს, აქ შედის როგორც თანამშრომელთა ხელფასი, ასევე, შესყიდვები, გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა ასევე ხმარდება ბაღის ტერიტორიის მოვლა-პატრონობას და განვითარებას

და, მათი დიდი წილი შემოტანილია. მათ შორის უამრავი ძველი მცენარეა, მაგალითად, ევკალიპტები, ტიტას ხე... აქ მაღალი მერქნიანი მცენარეების ღენდრო ბაღია. სამწუხარ-

დებიან მაგნოლიების გამოფენისთვის, მერქვარების... ამას ყველაფერს თან ახლავს სამცხიური საქმიანობა, გამოიცემა მონოგრაფიები, კეთდება სპეციალური პროექტები,

დაკმაყოფილდა ფონდ «ქართუს» მიერ გამოყოფილი თანხით აშენებული საცხოვრებელი ბინებით. შემდეგ უსახური სახლების დემონტაჟი და ახალი სივრცეების შექმნა დაიწყეს



როდ, ეს მცენარეები ბერდებიან, რადგან ცოცხალი ორგანიზმები არიან, მაგრამ ბაღის კოლექცივი ყველაფერს აკეთებს, რომ კოლექცია მაქსიმალურად შეინარჩუნოს - ეს ბაღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. აქ ორი წლის წინ ჩატარდა სრული ინვენტარიზაცია. მონაცემები კიდევ ზუსტდება და

რომელსაც თანამშრომლები ახორციელებენ. ბაღში მუშაობენ ძველი, გამოცდილი სპეციალისტები, რომლებსაც სათანადო პირობები აქვთ შექმნილი, ბევრი მათგანი საპატიო თანამშრომლად ითვლება და მათ ანაზღაურებას ბოტანიკური ბაღი საკუთარ თავზე იღებს...

ირაკლი არჩაია ბაღის ხელმძღვანელად



ლანდშაფტის შესაბამისად.

ბატონი ირაკლი მაქსიმალურად ცდილობს, რომ ბაღში მოსულ ვიზიტორს სიახლეები დაახვედროს. აქ მნიშვნელოვანი, ძირფესვიანი სამუშაოები ჩატარდა იმისთვის, რომ ორგანიზაცია მაღალ სტანდარტულ სიმაღლეზე აყვანათ. ახლა თამამად შეიძლება ითქ-

ამისა, ჩვენ გვაქვს ბაღის დასათვლიერებლად გამოყოფილი უფასო დღეები. პენსიონერებისთვის და სტუდენტებისთვის სხვა ტარიფებია. მოქმედებს სააბონენტო სისტემაც, არის სხვადასხვა სახის შეღავათი და ეს ინფორმაცია ბათუმის ბოტანიკური ბაღის ვებგვერდზეა განთავსებული».

უკრაინა

თითქმის ერთი წელია, რუსეთი აწარმოებს მიზანმიმართულ, არაპროვოცირებულ, გაუმართლებელ აგრესიულ ომს უკრაინის წინააღმდეგ, - ამის შესახებ ვენაში გამართული ეუთოს უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმის შეხვედრის დროს ევროკავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული. «ის ფაქტი, რომ რუსული აგრესია უკანონოა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არანაირ ეჭვს არ იწვევს. ჩვენ და ამ მავლის ირგვლივ მსხდომი კოლეგების აბსოლუტური უმრავლესობა მაქსიმალურად მკაცრად ვგმობთ და დავგმობთ რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის, გავრცელების და ეუთოს პრინციპებისა და ვალდებულებების აღმაშფოთებელ დარღვევას. რუსეთის დელეგაციამ აქაც და სხვა საერთაშორისო ფორუმებშიც უნდა შეწყვიტოს ამპარზენის პრეტენზია, თითქოს თავად არის «მსხვერპლი». აგრესორი რუსეთი და მისი ძალები განლაგებულია სხვა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არა პირიქით. გასული ტრაგიკული 350 დღე თვალსაჩინო მტკიცებულებაა, რომ კრემლმა უკრაინაში შეჭრა

არასწორად გათვალა. მათ, ვინც ერთი წლის წინ კიევში ალღუმის ჩასატარებლად ემზადებოდა, გეგმების სწრაფად შეცვლა მოუწიათ», - აღნიშნულია განცხადებაში. დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირი, რომელმაც უკვე შეწყვიტა რუსულ ენერგორესურსების იმპორტზე დამოკიდებულება, სანქციების მეათე პაკეტზე მუშაობს.

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ბელგიის მეფე ფილიპე I შეხვდა და ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავის ფრაგმენტები გადასცა. მედიის ინფორმაციით, შეხვედრას ბელგიის პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე დე კროუც ესწრებოდა. უკრაინაში ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავის ფრაგმენტს, რომელიც ზელენსკიმ ბელგიის მეფეს გადასცა უკრაინელი პილოტების მიერ გაკეთებული წარწერა ჰქონდა: «ერთად გავიმარჯვებთ».

რუსეთმა უკრაინის სამხრეთ და აღმოსავ-

ლეთ ნაწილებში მდებარე ობიექტებზე ე.წ. კამიკაძე-დრონებით თავდასხმა განახორციელა. საჭაერო თავდასხმის მაუწყებელი სირენების ხმა ქვეყნის უმეტეს ნაწილში გაისმა. დნეპროპეტროვსკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ სერჟი ლისაკის განცხადებით, ცაში ირანული Shahed-ის დრონები დაფიქსირეს. მოგვიანებით, Dnipro Info-ს «ტელეგრამა» არხმა გავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინულმა ძალებმა მინიმუმ ერთი დრონი ჩამოაგდეს. ოფიციალური პირებისა და ადგილობრივების ინფორმაციით, ირანული დრონები გამოჩნდა მიკოლაივისა და ზაპოროჟიის ოლქებშიც. ამასთან, ადგილობრივების თქმით, აფეთქებების ხმა ისმოდა აღმოსავლეთ დონბასში, უკრაინის მიერ კონტროლირებად ქალაქებში - კრამატორსკა და სლოვიაანსკში.

რუსმა ოკუპანტებმა ზაპოროჟიეზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს, ეს იყო ყველაზე დიდი შეტევა ქალაქზე სრულმასშტაბიანი შემოჭრის დაწყების შემდეგ, - ამის შესახებ ქალაქის საკრებულოს მდივანმა ანა-

ტოლი კურტევა განაცხადა. მისივე თქმით, ერთ საათში ზაპოროჟიეში მტრის რაკეტის 17 გაშვება დაფიქსირდა. მისი თქმით, რუსული ძალები თავს დაესხნენ ენერგოინფრასტრუქტურის ობიექტებს.

უკრაინის დედაქალაქ კიევში, ასევე კიევსა და დნეპროპეტროვსკის ოლქებში, რუსეთის სარაკეტო თავდასხმის საფრთხის გამო, ელექტროენერჯის მიწოდება შეწყდა. «კიევში, კიევსა და დნეპროპეტროვსკის ოლქებში სარაკეტო თავდასხმის საფრთხის გამო, გაუაღებელი გათიშვა განხორციელდა», - განაცხადეს უკრაინის ენერგოკომპანიაში. მათივე განმარტებით, ოძულებულები იყვნენ, აღნიშნული პრევენციული ნაბიჯი გადაეღვათ, რათა თავიდან აეცილებინათ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი დაზიანება იმ შემთხვევისთვის, თუ მტრის რაკეტები სამიზნეს მიაღწევდნენ. უკრაინის მთელ ტერიტორიაზე საჭაერო განგაში გამოცხადდა.



კასი, როგორც ფსალმუნებს „ლიქსავს“

ჩვენ სტუმარია აჭარის მთიანეთის მკვიდრი, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს პოეტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, პოეტი **შრიკო ნ. ჯავახიანი**.



- ბატონო ფრიდონ, ლექსების პირველი კრებული ერთობ ორიგინალური სახელწოდებისაა - „ჩემი ჩუმი ჩანაფიქრი“. მისი გამოცემის შემდეგ „სიჩუმე“ ხომ არ დაისადგურა?

- წიგნის გამოცემა, სამწუხაროდ, ძვირი სიამოვნებაა. ქველმოქმედ და მეცენატ ვაჟა დავითაძისა და ჟურნალისტ ოთარ ფუტყაძის თანადგომით იხილა ჩემი ლექსების კრებულმა მზის სინათლე. დღეისთვის ხუთ წიგნს რომ ეყოფა, იმდენი ლექსი მაქვს უკვე დაწერილი და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული. ალბათ, გაიძლიერებს ბედი და ჩემი სულის ამ ნაჟურსაც გამოუჩინდება ვინმე კეთილი ადამიანი, რომ წიგნად გამოცემა, თუმცა, უპირობოდ განცდა ნამდვილად არ მაწუხებს. არა მგონია, წიგნს ჰყავდეს იმდენი მკითხველი, რამდენიც სოციალურ სივრცეში მყავს.

- სულ სხვა სოციალური სივრცე და სულ სხვა - წიგნი.

- არ გეძვრებათ, მაგრამ შემოქმედს მატერიალური მდგომარეობა რომ ხელს არ გაძლევს, სხვა ხერხს უნდა მიმართო.

- თქვენი შემოქმედებიდან რომელ ლექსს ანიჭებთ უპირატესობას?

- წელს, დეკემბერში, დაბადებიდან 60 წელი მისრულდება. ალბათ, ასაკსაც შეეფერება ჩემი ერთი ლექსი, რომელსაც სათაურად „დავბერდი“ შევურჩიე:

„წლები წუთებად მიქრიან, დავბერდი, აბა, რა ვქენი? წუთისოფელი ფიქრია - რა ვქენი ან რა არ ვქენი?...“

ჩემი ყველა ლექსი მიყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი არ ვიცი ზეპირად. სამაგიეროდ, სხვებმა იციან და ხშირად კითხულობენ საჯარო ღონისძიებებზე.

- „ფსალმუნის“ ბერძნული სიტყვაა და სახობო საგალობელს ნიშნავს. თქვენ მისი გალექსვა რამ გადაგაწყვეტინათ? როგორც ვიცო, არც აღმსარებლობა გიწყობთ ხელს და არც საღვთისმეტყველო განათლება გაქვთ მიღებული.

- არის ტაძარი, რომელსაც იმდენი შესასვლელი აქვს, რამდენი წამყვანი რელიგიური მიმდინარეობაც არსებობს დედამიწაზე, სალოცავი სვეტი კი ერთია. ყველა შედის ამ ტაძარში „საკუთარი კართით“ და მიდის ერთ საკურთხეველთან - სალოცავ სვეტთან, რომ უფალს მაღლი უძღვნას ყველაფერისთვის. ღმერთი ერთია. ყველა რელიგია, რომელიც კაცთმოყვარეობას ქადაგებს, უფლის სიყვარულიდან მომდინარეობს. განკითხვის უამს არა მგონია, ვინმემ „მკითხოს“, რომელი კარიდან შემოხვედით. იმას კი ნამდვილად მკითხავენ, რა წავიდე იქ სააქაოდან - ცოცხალი თუ მაღლი? ფსალმუნების გალექსვა რომ დავიწყებ, მრავალმა მომიწონა, მრავალმაც კრიტიკის ქარცეცხლში გამატარა (მათ შორის

სამღვდელოების წარმომადგენლებიც). აჭარაში მომუშავე პოეტმა, ხატუმწერმა, ჟურნალ „ხატობა“ მუშის რედაქტორმა და ღვთისმეტყველმა ქალბატონმა ნანა მომცელიძემ „გამომყავდა“ საჯაროდ ჩემი პოეტური „ახირება“... საბედნიეროდ იქიდან „რისხვის“ ნიაღვარი არ ფრქვევულა ჩემს თავზე, სიტბო და სიყვარული კი ნამდვილად ვიგრძენი და გვრძნობ დღესაც. ოციოდე ფსალმუნის დამირჩა გასალექსია. როცა დავასრულე ამ ყველაფერს, რედაქტორობა და საბოლოო „ჩარჩოში“ ჩასმა ისევ ღვთისმსახურებს უნდა ვთხოვო. ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს მართო პოეტური ნიჭი არ ჰყოფის, ბევრი რამეა გასათვალისწინებელი. სათაურიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ („გალობანი სიყვარულისანი, ანუ ოდა ფსალმუნებს!“), პასუხი ნათელია: უფლის სადიდებლის გალექსვა მოკრძალებული სურვილია, პასუხისმგებლობა ღმერთის სიყვარულის „საჯაროდ გამჟღავნებისა“. მე მიყვარს ღმერთი და ამ სიყვარულის „გასაჯაროება“ ამ გზით ვიჩინე...

- შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის წამყვანი დარგების სამსახურის უფროსიც ხართ. ამ საქმეს როგორ ითავსებთ?

- სამსახურში მოვსლამდეც განათლების, კულტურისა და სპორტის „მუშაკი“ ვიყავი... გამაყობ ჩემი გუნდით და იმ ადამიანებით, რომლებიც აქ მუშაობენ, ჩვენთან ერთად საქმეებს უძღვებიან. სამსახური მეორე ოჯახია, რომელიც პირველის რჩენაში კი არ გვეხმარება მართალი, სიცოცხლის ხალხის გვამტებს და მოტივაციასაც გვიქმნის, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ რაიმე ღირებულის შექმნა შევძლოთ. 2023 წელი სიანხლებით სავსე იქნება შუახეველებისთვის. წინასწარ არ მიყვარს საუბარი. დრო იტყვის თავის სათქმელს, რასაც, დარწმუნებული ვარ, გაზეით „აჭარა“ ოპერატიულად გამოეხმაურება.

- საზოგადოებას ახსოვხართ როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი...

- სამწუხაროდ, სტატუსშიწერებული დოქტორანტი... თაროზე მიდევს დასრულებული სალოცავი დისერტაცია, რომლის წიგნად გამოცემას ყოველგვარი სამეცნიერო ხარისხის მოპოვების გარეშე ვაპირებ. იმდენი შრომაა ჩადებული ამ ნაშრომში სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად, რომ მეტრადედა „დასაკონსერვებლად“. ბრძენს უთქვამს: „ერთ მდინარეში ორჯერ არ შედინაო“... ერთხელ შემიჩერეს სტატუსის სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო... მეორედ ჩავაბარე... დამავიწყდა ერთი დიდი მეცნიერის ნიშნის მოგებით ნათქვამი, რომ სწავლა სიამოვნებაა და ამ სიამოვნებაში ფულის გადახდა საჭიროა. ორი კურსი ისე დავასრულე, პრობლემები არ შექმნილა. მეგონა, დავასრულე... ოთხნიშნა ციფრებიანი ქვითარი რომ მომივიდა უნივერსიტეტიდან ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვის შესახებ, მაშინ მივხვდი, რომ ვერ დავამთავრებ, თურმე.

- და აქ მთავრდება სამეცნიერო საქმიანობა?

- მესამედ აღარ ვაპირებ „მდინარეში“ შესვლას... ისტორიის აკადემიური დოქტორის წოდება საპატიოა, მაგრამ მისთვის ბრძოლა არაა ჩემი შობი. კადნიერებაში არ ჩამითვალთ ნათქვამი: მგონი, მე უფრო, როგორც პოეტი, ვჭირდები ქვეყნის (ასპარეზი რომ მიეცეს ჩემს შემოქმედებით საქმიანობას), ვიღერ როგორც „ხარისხიანის“ ტიტულის მფლობელი. ამ საკითხთან მიმართებით, ჩემი „ინტერესი“ სრულიად ამოწურულია. შვილმა და რძალმა უფრო დიდი „ტიტული“ მომცეს - 10 თვის იოანეს ბაბუა ვარ! ისაა ჩემი სტატუსიც, ხარისხიც, წოდებაც და თანამდებობაც. ლექსებით ვესაუბრები ჩემს პატარა ანგელოზს და აკვირდნენ ვასწავლი სამშობლოს, ერის სიყვარულს, ღმერთისა და რწმენის რაობას. ჭერჭერობით „მისმენს“ და მერე, ვნახოთ.

- ყველაფერი სიამბოძეობაზე, სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახიდან და ერთგული მეუღლიდან მოდის?

- მეუღლისთვის იმდენი ლექსი მაქვს მიძღვნილი, რომ თავად „მივიკრას“. ქედელი ქალის მეუღლეობას არ სჯობდა, სულ არ მყოლოდა? - „წამომცდა“ ერთ სახუშარო ლექსში და მერე ერთი თვე დავდიოდი „ხანგრად ნაჭამი“ სამსახურში. გამოვასწორე მდგომარეობა, შევცვალე ხუმრობა სერიოზულობით და... აწყვა საქმეც. ეს „ხანგრად“ სერიოზულად, რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლე მართო ჩემი შვილების დედა არაა, ის ჩემი პოეტური შთაგონების წყარო და გულწრფელი მიძღვნილი ლექსების უცვლელი ადრესატია. ჩვენ ჩუმად, უხმაურო ტკივილებით გამოვიართე ეს წლები. მე ბედნიერი ვარ მისით!

- რომ არა სოციალური ვარსებობა?

- ფეისბუქზე 5000 მეგობარი მყავს. ჩემს გვერდს - „ფრიდონ დავითაძის შემოქმედება“ კი - 10000-ზე მეტი გამომწერი და უთვალავი მნახველი. ცუკერბერგს ჩემგან ლექსი კი არა, პოემა ეკუთვნის... რომ არა სოციალური ქსელები, გერასდროს გავიცნობდი, ალბათ, მრავალ მაღალი დონის მწერალსა და პოეტს, სამშობლოს ღირსეულ შვილებს, რომლებიც ქვეყნის კეთილდღეობას სრულიად უანგარ-

ოდ უნებნენ სანთელ-საკმეველს. მაღლობა თითოეულ მათგანს, რომ მკითხულობენ, ვუყვარვარ და ვახსოვარ.

- თქვენი პოეზია ღვთაებრივი შთაგონების პროდუქტია?

- აბა, რა შეიძლება ერქვას ღმერთების „ენაზედ“ საუბარს? ლექსი „განცხადება“ ხომ არაა, ვინმესგან გადაიწერო და გააშინაარსო? მუზა უნდა გეწვიოს, „მოვიდეს“ ლექსის სახით. შენ კიდეც, „არტახები“ კი არ უნდა შეუტყრა მას, თავისუფლება უნდა მიანიჭო, რომ დროის გამოცდას გაუძლოს.

- ქართული პოეზიის „ურჯახე“ ვის გამოარჩევ?

- ასეთი რუკის შექმნა აბსურდია. იმდენი შესანიშნავი პოეტი ჰყავს დღეს საქართველოს (მრავალ სუსტ პოეტთან ერთად), რომ რუკა კი არა, ატლასიც ცოტაა მათ დასატევა.

- რამდენად მუსიკალურია თქვენი ლექსები?

- ბევრია ასეთი. აპირებენ კიდეც ჩემი მეგობრები რამდენიმე ლექსზე სიმღერის დაწერას. ეს დიდ საჩუქარი იქნება.

- ეთანხმებით ნათქვამს, რომ პოეტი ფილოსოფოსია?

- როცა თავად პოეზიაა ფილოსოფია, ვინ უნდა იყოს, აბა, პოეტი? ჩემი ლექსები იმდენად „დახუნძლულია“ ფილოსოფიით, რომ მკითხველი მანიჭებს ამ ტიტულს.

- მშობლიური შუახევის ქუჩებში ვისთან ერთად ისურვებდით გასიერებას?

- იმ ადამიანებთან ერთად, რომლებმაც წლობით იშრომეს მისი გამშვენიერებისთვის... ჩემს შვილიშვილებთან ერთად, რომელთაც მოვუყვები, რის გაკეთებას ვცდილობდით, რომ ამ ქუჩებში სერიოზობის ზნეობრივი უფლება გვექონოდა, ჩემს მეუღლესთან ერთად, რომელსაც ვემაყვები, როგორც ამ ყველაფრის უშუალო მონაწილე!

- საფიქრალი, ძილშიაც რომ არ გასვენებთ...

- ცხოვრება, სააქაო არ დამირჩეს „უსათაუროდ“, შვილებსა და შვილიშვილებს სამშობლოს მცნება იმ დონეზედ გავუთავისო, რომ ტკიოდეთ, გრძნობდნენ და უფროხილდებოდნენ მას.

- თურქეთი დღეს დიდი განსაცდელის წინაშე დგას. ამ ტრაგედიას როგორ გამოეხმაურებით?

- ეს არ არის მართო თურქი ერის გასაჭირი და განსაცდელი, ეს კაცობრიობის გამოსახვნილებლად გაღებული მსგერბლია. გავაბრაზეთ ღმერთი, თანაც - ძალიან. ჩემი შემოქმედების გარკვეული ნაწილი უფლის სადიდებელი ჰომინია. ვწუხვარ და განვიცდი ამ ტრაგედიას, ვუსამძიმრებ თურქეთისა და სირიის ხალხებს. ღმერთმა გვაკმაროს ცრემლი და მსხვერპლი, განურჩევლად რასისა, აღმსარებლობისა და ადგილმდებარეობისა. ამ დღეებში მთელმა მსოფლიომ აჩვენა, რომ მტრობის და ანგარიშსწორების დრო არაა.

- რას ელოდებით ხვალსგან?

- სამშობლოს, სრულიად განსხვავებულს ახლო წარსულისგან, ქართველობას კიდეც, ერთ გუნდად შეკრულს, რომელსაც სამოღვაწეო დევიზი: „მამული, ენა, სარწმუნოება“ „კონსტიტუციად“ ექნება მიღებული. მეტი რა მოლოდინი უნდა მქონდეს?

დეფისიტი დაკლავულია

დაბა შუახევის მოსახლეობის, სასიცოცხლო და სავაჭრო ობიექტების პურით მომარაგებაში წლებია, დეფისიტი იყო. იგი დისტრიბუტორებს რაიონის ფარგლებს გარედან შემოაქვნიდათ

დაქირავებულ მუშახელთან ერთად თავდაცვ ფიზიკურ შრომას არ თავილობდა.

11 თვის წინ მომხმარებელმა მაღალი ხარისხის გამოცხვარი პური მიიღო. იგი, ძირითადად, დაბა შუახევისა და ხიჭაურის დასახლებებში საღვებდა.

მეწარმემ საწყის ეტაპზე ცნობილი სპეციალისტები ბათუმიდან მოიწვია. მათ ადგილობრივებს: გენმა, გელა დავითაძეებს, ფრიდონ დარჩიმეს, რომინ დიასამიძეს საქმე საფუძვლიანად შეასწავლეს. ისინიც მინდობილ საქმეს გულდასმით ეკიდებიან და მომხმარებელიც კმაყოფილი ჰყავთ. თუ ამის მოთხოვნაა, დღე-ღამეში ფურნეს სამჭერ ახურებენ და ხარისხიან პურს აცხობენ.

შუახევიში საგრანტო პროექტით ამოქმედებული საწარმოს მუშაობას დადებითი შეფასება მისცა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, როცა შუახეველებს 2023 წლის პროგრამების წარუდგინა. მან დაინტერესებულ პირებს რჩევა მისცა, რომ უნა დავეთვინოთ გამოცდილება გაიზიარონ.

ახლად ამოქმედებული ობიექტის მუშაობით შუახევის მუნიცი-



პალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი დავითაძე და დაბის მაჟორიტარი, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძე დაინტერესდნენ. საგრანტო პროგრამის გამოარჩევილ მეწარმეს უნა დავითაძე

თაქს საქმიანობა მოუწონეს. - შუახევის მუნიციპალიტეტში უნა დავითაძის საწარმო უკვე წარმატებული ობიექტია. იგი მომხმარებელს კარგი ხარისხის გამომცხვარ პურს აწვდის, რითაც დეფისიტი დაძლეულია. მეწარმეს რჩევა მივეცი, თონე მალე აამოქმედოს.

სამომავლოდ კი შენობის მეორე სართულზე სწრაფი კვების ობიექტი გახსნას. - გვიხსნა როსტომ ლორთქიფანიძე.

გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ

„უკრაინა გააზრებულ თავდასვლაზეა გადასული“

მე-3 გვერდიდან

- რუსეთის ეკონომიკა 4%-ით შემცირდა, რაც ასეთი დიდი ქვეყნის ეკონომიკისათვის ძალიან დიდი ციფრია. ამასთან, ახალგაზრდებისა და პროფესიონალების ქვეყნიდან გადინება (ზოგჯერ სანქციების გამო და ზოგჯერ მობილიზაციის შიშით) ძალიან დიდი ტემპებით მიმდინარეობს. ინტელექტუალური რესურსის დაქვეითება ყველაზე დიდი პრობლემა სახელმწიფოსათვის. სანქციების მეორე ნაწილი ევროპას ეხება - ევროპა რუსულ გაზზე დამოკიდებულებისაგან თავისუფლდება და ეს უდიდესი მიღწევაა. ამასთან, რუსული ნავთობის ფასი დაბლა დაეცა, რაც მის შემოსავლებს ურტყამს, მაგრამ სანქციები ასე არ მუშაობს. მისი ეფექტი ნელია და რამდენიმე თვეში არ ჩანს.

- უკრაინაში დაითხოვეს ჩინოვნიკები, რომლებიც კორუფციას იყენებენ ექვმიტანილი, ეს რამდენად საზიანოა უკრაინის საბოლოო გამარჯვებისთვის და ხომ არ არის მოსალოდნელი დასავლეთის დახმარებამ უკრაინის მიმართ იკლოს?

- თუკი უკრაინა ომს მოუგებს კორუფციას, მისი გამარჯვების შანსები

სები ბევრად მაღალი იქნება. უკრაინას კორუფცია ომამდე რომ დაემარცხებინა, შესაძლოა ომი რუსეთს ვერც კი წამოეწყო, რადგან უკრაინული სამხედრო ინდუსტრია, ისევე როგორც ეკონომიკური პოტენციალი, ძალიან დიდი იყო, მაგრამ კორუფციამ თავისი უმძიმესი კვალი დაატოვა ქვეყანას. თუკი უკრაინა დაამარცხებს კორუფციას, მისი პოლონეთისმაგვარ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნება.

- რუსული პროპაგანდა რომ მთელი მსოფლიოს თავსატეხაა, არახალია ამ მხრივ „სოციალურ ქსელში კამპანიასავით ხედება პოსტები, თუ რატომ არ არის საქართველო ევროპა“, რასაც თქვენ ძალიან შთაბეჭდილებს გაცივით, გვიამბეთ ამის შესახებაც...

- რუსული პროპაგანდა იმ ლოგიკაზეა აგებული, რომ საქართველო ევროპა არ არის და ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლისა და დიმიტრი ყვიციანის იდეები და ხედვები თითქოს არ ყოფილა ევროპული. სიტყვების - „ევროპა“ და „დასავლეთი“ - მარგინალიზაცია მიზანმიმართულად ხდება. საქართველო ისტორიულად, პოლიტიკურად, სამართლებრივად

და კულტურულად ევროპაა და ამის უარყოფა უსაფუძვლოა. ჩვენი სამართალი გერმანული სტილისაა, ჩვენი ეკონომიკა დასავლეთზეა მიბმული, ჩვენი პოლიტიკური სისტემა დასავლური სტილისაა და დასავლეთისავე მისწრაფვის, ჩვენი ისტორია პერმანენტულად აღწერდა ევროპასთან მეგობრობას და აზიდან მოსული საფრთხეებისაგან თავდაცვას, ჩვენი კულტურა კი დანარჩენი ევროპული ცივილიზაციის ნაწილია, ღვინის კულტურით კი საერთოდაც, აკვანი. რთულად თუ იბოვიტ ქართული კულტურის საერთოს შუა აზიასთან, რომელიც თითქმის იგივე მანძილითაა ჩვენგან დაშორებული, რამდენითაც, მაგალითად, რუმინეთის უკაცისა აღმოსავლეთ ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე რეგიონია და ის ისეთივე მრავალფეროვანი და განსხვავებული შეიძლება იყოს, როგორც, მაგალითად, ბალკანეთი, მაგრამ როგორც ბალკანეთია ევროპის ნაწილი, ისევეა უკაცისა.

- რუსეთის დამარცხების შემდეგ რამდენად მოსალოდნელია მოსკოვმა ახალი აგრესია განაგრძოს საქართველოზე ან მოლოდინზე და ამით ევაჭროს დასავლეთს დივიდენდების მისაღებად და ამ მხრივ დასავლეთის მხარდაჭერა რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი უსაფრთხოებისთვის?

- თუკი რუსეთი ტოტალურად დამარცხდა, ანუ კიდევ დიდი ხანი გააგრძელა ომი და რესურსების უმარჯესობა ჩადო მასში, მაშინ მისი მხრიდან რაიმე აგრესიის წამოწყების ალბათობა, ნებისმიერ ადგილას მინიმალური იქნება. მაგრამ თუკი რუსეთი დამარცხდა ისე, რომ ბრძოლისუნარიანი დარჩა, მაშინ არაა გამორიცხებული, უკრაინასთან მარცხი იგივე ბელარუსის ანექსიის მცდელობით, ან ყაზახეთში რუსული მოსახლეობის გამოყენებით რაიმე სამხედრო აქტივობით გაგრძელდეს. საქართველო როგორც ევროპის ნაწილი უკრაინასთან ერთად მოაზრებულია რუსეთის აგრესიის მსხვერპლად. შესაბამისად, რუსეთის მარცხის შემთხვევაში, საქართველოში ხელახალი აგრესიის შანსი ნაკლები იქნება, მაგრამ აქ საქართველოს აქტიურობაცაა მნიშვნელოვანი - რუსეთის მარცხი საქართველომ უნდა გამოიყენოს, რომ დასავლეთს მოსთხოვოს ზეწოლა რუსეთზე, რათა ჯარები საქართველოში ოკუპირებული რეგიონები

დანაც გააყვანოს ან დღის წესრიგში მაინც ჩაასმევინოს.

- დაბოლოს, ყველა, მით უფრო ასეთი ფართომასშტაბიანი, ომის შემდეგ ყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი, ამ მხრივ მოვლენების რა განვითარებას ელოდებით?

- ახლა გზაგაყოფა - თუკი რუსეთი დამარცხდება, ტირანული რეჟიმები აგრესიულ ომებს ასე თამამად ვეღარ დაიწყებენ. მაგრამ თუკი რუსეთმა რაიმე ფორმით მიიღწია თუნდაც მინიმალური მიზანს, ეს სივრცელი იქნება აგრესიული რეჟიმებისათვის, რომ თავდასხმითი ომისათვის მზადება სულაც არაა უაზრობა... მაგრამ რუსეთის მარცხის შემთხვევაში, კიდევ ერთი რეალობის წინაშე დავდგებით - ჩინეთი ყველა ვარიანტში გაძლიერებული გამოდის, რადგან მისი პოზიციები როგორც შუა აზიაში, ისე მთელს აღმოსავლეთ აზიაში განმტკიცდება. თუკი ახლა ცენტრალურ მოთამაშებდა აშშ, რუსეთი და ჩინეთი გვევლინებიან თავიანთი მოკავშირეებითა და ცენტრებით, რუსეთის მარცხის შემთხვევაში ჩინეთის ძალა კიდევ უფრო გაიზრდება.

„ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების მსოფლიო საზოგადოებისთვის ღირსეულად გასწავლას“

მე-4 გვერდიდან

ვთქვა, რომ ბევრი ავტორი ჩემთვის აღმოჩენა იყო: ჯორჯ ორუელი, ფრედერიკ ბეგბედერი, უმბერტო ეკო, ორჰან ფამუში და სხვები. საბჭოთა ეპოქაში მსგავსი ტექსტები არ ითარგმნებოდა. ამასთან, მინდა გითხრათ, რომ მიუხედავად ერზა-კლიტერატურის მოძღვრებისა, ქართულ მწერლობას ისეთი მეტარიკლასიკური საძირკველი აქვს, დარწმუნებული ვარ, არც 21-ე საუკუნეში დაუდებს ტოლს მსოფლიო ლიტერატურას. გაიხსენოთ იგივე პოსტმოდერნისტული ტექსტები აკა მორჩილიძისა, რომლის მიღობა, ძარღვიანი ქართული, იუმორის გრძობა, წერის დახვეწილი ტექნიკა და თხრობის ფანტასტიკური უნარი ბევრი ევროპელი თუ ამერიკელი პოსტმოდერნისტი მწერლის შემოქმედებაზე ნაკლები არაფრითაა, ასე რომ, მომავალი ჩვეია.

- კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობთ და მოხსენებებით გამოდის, რითაა მნიშვნელოვანი, როგორ გამოიყურებით ცივილიზაციის გზაჯვარედინზე?

- მშვენივრად - ფეხდაფეხ მივყვებით სამეცნიერო სიახლეებს, ზოგჯერ გადამეტებული გულმოდგინებითაც კი... ოღონდ ესაა, რომ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების მსოფლიო საზოგადოებისთვის ღირსეულად გაცნობას, ამაში ნამდვილად მოვიკოჭლებით. ამის უმთავრესი მიზეზი, ისევე და ისევე, ენობრივი ბარიერი მგონია. კონვენციური თარგმანები, რბილად რომ ვთქვათ, იშვიათობაა და ამიტომ უამრავი მსოფლიო დონის ქართველი მწერალი სხვა ხალხებისთვის უცნობი რჩება. სამწუხაროდ, ვერც ჩვენ ვახერხებთ მათი შემოქმედების ღირსეულად წარდგენას საერთაშორისო კონფერენციებზე. ჩვენი ახალი თაობა გულმოდგინედ ეუფლება ინგლისურ ენას და ვფიქრობ, თუ ასევე გულისხმობდა მოცილებიან ქართული მწერლობის

შესწავლას, შეძლებენ უახლოეს მომავალში ამ პრობლემის გადაჭრას.

- საზოგადოებრივ აზრზე მწერლობის ზეგავლენა შემცირდა. ეს ინტერნეტმა გამოიწვია თუ უფრო სიღრმისეული ფესვებია საძიებელი?

- თქვენმა კითხვამ აკაცი ბაქრაძის სიტყვები გამახსენა, საქართველოში მწერალს „ერის წინამძღოლის“ ფუნქცია ჰქონდა. ჩემი აზრით, ეს ასე იყო, სანამ საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა: მწერალს პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწის მისივე ჰქონდა დაკისრებული. ამიტომაც ყველა ეპოქაში ერთგულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში ქართველი მწერლები იდგნენ, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ წარმოშობდა პოლიტიკაში ჩაიკარგა მათი ხმა, ხალხი უკვე პოლიტიკური ლიდერების გამოვლენაში ეძებდა სამომავლო გზებსა და პერსპექტივებს. რაც შეეხება ინტერნეტს, თუ იმას ვაღიუხებთ, რომ ინტერნეტმა საზოგადოება, განსაკუთრებით, - ახალი თაობა, მოწვევითაა წიგნს, მაშინ დაგეთანხმებით. მაგრამ, მეორე მხრივ, ინტერნეტის საშუალებით, ძალიან ბევრი მწერალი გახდა პოპულარულიც, ისინი ფართო საზოგადოებამ გაიცნო, მათ აქვთ საკუთარი შემოქმედების რეკლამირების საშუალება. ასე რომ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ეპოქისა და პოლიტიკური ვითარების ცვლილებამ უფრო იმოქმედა. არადა, დღესაც არანაკლებ სჭირდება საქართველოს ერთგული სულით სავსე მწერლების წინიანი, ღირსეული სიტყვა.

- ტრადიცია და დღევანდელი რამდენად თავსებდება? ეროვნული ცნობიერების გასაღრმავებლად უპირატეს საზრუნავად რა გეგანებთ?

- ვალბათ, ტრადიციების მოყვარული ადამიანი ვარ, თუმცა ტრადიციაც არის და ტრადიციაც: ზოგი თავსებდა და დღევანდლობასთან, ზოგიც - არა. ნამდვილად არ

მომწონს უზარმაზარი ქელეხ-ორკეტების გადახდის ტრადიცია, სამაგიეროდ, დიდ პატივს ვცემ ქართული სუფრის წარმართვის ხელოვნების - მჭევრმეტყველო თამაშის ტრადიციას, მომწონს უფროს-უმცროსობის, ოჯახის სიწმინდისა და სიმკაცრის შენარჩუნების ტრადიცია... ძალიან მაღვიანებს ოჯახის ინსტიტუტზე მასობრივი შეტევა, ექვსჯერ განათხოვარი ქალებისა თუ შვიდცოლგამოცვლილი კაცების ლამის ყველაზე „პროგრესულ“, მისაბამ ადამიანებად, „ტელესახეებად“ ქვეყნის ერთგული ცნობიერება თავისთავად არ ყალიბდება, ამაზე ერთობლივად უნდა იზრუნოს ოჯახმა, სკოლამ, მასმედია, სახელმწიფომ. ამაში, ტრადიციულად, უდიდესი წვლილი უნდა შეიტანოს სიტყვაჯამბულა ლიტერატურამ.

- სიტყვა მკურნალია, როცა... დიან, ბრძანად მტყვევლებშია წამალია. როგორია დღეს ქართველის სასაუბრო ენა?

- მოდი, აქ კითხვაზე პასუხი ისევე ბრძენმა წინაპარმა გაგვცეს. „გვეხსიტყვაოსანში“ ბევრი აფორიზმა ენისა და საუბრის შესახებ, ისინი გვასწავლიან, რომ, ჯერ ერთი, სათქმელი უნდა ითქვას. ამ კუთხით, საბედნიეროდ თუ საუბედურად, შეზღუდვა არაა. სიტყვების თავისუფლება უმრავლესობამ გაიგო როგორც ყველაფრის ნებისმიერი ფორმით თქმის უფლება, მაგრამ არ ითვალისწინებენ, რომ „არასმენლისა მოსმენა არს უმჯავესი წმინდისა“ და - პირქით, „გველსა ხერხლით ამოიყვანს ენა ტუბილად მოუბარი“ და, რაც მთავარია, „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდები“. ეს, რაც შეეხება საუბრის შინაარსსა და ტონს, რომელიც, როგორც წესი, აგრესიულ-ბოლომანი, ანუ ტუბილქართული საუბრის ყველა რუსთაველური პრინციპი დარღვეულია. არანაკლებ რთულადაა საქმე ქართული ენის სიწმინდის დაცვის მხრივ. დღეს, როგორც არაერთხელ ჩვენი ისტორიაში, ქართული ენის დაცვის პრობლემა უმწვავესად დგას. ამ მხრივ

სცოდავს ყველა: დაწყებული ზოგიერთი მასწავლებლით, პარლამენტარით, ყურნალისტით. ფაქტობრივად, ენის დამახინჯება-დაბინძურებაში ყველას შეაქვს თავისი „წვლილი“. დღევანდელი ენა არის ბარბარიზმებით, ვულგაროზებით, უარყოფით, კალეკობით გაჭრებული, აღარაფერს ვამბობ, ელემენტარული ქართული გრამატიკისა და მართლწერის საკითხების უცოდინარობაზე. ჩემი აზრით, ამას არაფერი ეშველება, სანამ სკოლებში თავის სრულ უფლებებში არ აღდგება ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები სწავლება!

- რა გვაქვს ადამიანად? მინც რა არის ეს ცხოვრება, გზა განკაცების როგორ გეგანებთ და როგორ დააკვლიანებდით ახალგაზრდებს?

- „სიყვარული აგვამალავს“ - სხვა გზა და საშუალება ადამიანად ქცევისა, განკაცებისა, არ მეგულება. ეს გზა ძველია და მარად ახალი, ეპოქებისდა მიხედვით იცვლის ფორმებს, მაგრამ შინაარსი იგივე რჩება.

- ციფრული ეპოქა და ხელოვნური ინტელექტი რა გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანებს და ამ ფონზე მითრატურისა და მწერლობის მისა როგორ გეგანებთ?

- „ტექნიკური გაუცხოება“, ვირტუალურ სამყაროსთან მიჯაჭვულობა, ცოცხალი ადამიანური ურთიერთობების დევიციტი, „შომო ფაბრიკების“ მომრავლება - აი, არასრული ჩამონათვალი იმ გამოწვევებისა, რომელთა წინაშეც ციფრული ეპოქა აყენებს ადამიანებს. ამ ფონზე, ლიტერატურის მისაია, რაც შეიძლება ეფექტური მხატვრულ-ესთეტიკური საშუალებებით შეახსენოს ადამიანს, რომ ის უნიკალურია დედამიწაზე მცხოვრებ არსებულთა შორის სწორედ იმიტომ, რომ მგრძობიარე არსებაა, რომ, რუსთაველისა არ იყოს: „უფულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდა“, რომ ადამიანმა არ უნდა დაკარგოს ვარსკვლავებით მოქედლი ცით აღფრთოვანებისა თუ მორცხვი იის

მომხიბლაობით გაოცების უნარი და მუდამ უნდა შეიძლოს გალაკტონთან ერთად წიღებდინოს: „ატმის რტოო, დაღალულო რტოო, ატმის რტოო, სიმშვიდეა შორი“...

- როცა ბათუმის ქუჩებში დაბიჭვებ... ბათუმი ახლა და სამომავლოდ როგორ წარმოიადგენება?

- ჩვენ ყველას ჩვენი ბათუმი გვაქვს და როცა მის ქუჩებში დავაბიჭებ, მეც ხშირად მეწვევა ხოლმე ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი თბილი, მყუდრო, ქათქათა და კოპწია ბათუმის მონატრება, მაგრამ ახალ ეპოქას საფუძვლიანი კორექტივები შეაქვს ქალაქის იერში. მის სახედ უკვე ქვეყნის ცამხმეჩენი, ბათუმი ყველასთვის საშოვარ ადგილად შეიქნა აღიარებული; ყოველი მხრიდან მორბოდნენ, რომ აქ ფეხი ჩადგათ და ჯიბე გაესქვლებინათ. სულ მოკლე ხანში დაივიწყდა ცარიელი მიწები და გაშენდა ახალი ქალაქი...“ მსგავსება აშკარაა. ჩვენ დღესაც „ახალი ბათუმი“ შექმნის მომსწრნი ვართ. მოგწონს თუ არა, ეს გარდაუვალი პროცესია, მაგრამ როგორც უნდა შეიცვალოს ბათუმი, მე ის მაინც მსოფლიოში ყველა ქალაქზე მეტად მეყვარება, რადგან ვერავინ და ვერაფერი შეცვლის მის ზღვას, მზეს, წვიმას, ბულვარს... რაც მთავარია, ჩემს თბილსა და მოსიყვარულე ბათუმელებს.

- კითხვა, რომელიც ყველა წესსრულად ადამიანმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს...

- გამოვიყენე კი ყველა შესაძლებლობა, რაც ცხოვრებამ მომცა, ჩემი ქვეყნის, ხალხისა და ოჯახის სასიკეთოდ?

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარინა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ სომარიკი</p>	<p>რედაქცია პასუსს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>გამომცემი - შპს „ბანკიტი აპარა და ალპარიი“</p> <p>კოორდინირებული მომსახურება - შპს „კოლორ პრინი“</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. პაღვლაძის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>ინფო და აკაბადონება</p> <p>გაზეთი აპარისი კომპ. ცენტრი</p> <p>დასაბავსებელი ხელმოწერა 10/02/23, 19 მ. სთ.</p>	<p>დირექტორი</p> <p>გამუკა ბერიკა</p>
---	---	--	---	---	---



იარა მუზაუმი, გახლი უკეთესი...

მუზეუმი ბერძნულად მუზათა ტაძარს ნიშნავს და მას უდიდესი აღმზრდელი და დანაშნულეობა აქვს. ეს არის სივრცე, რომელიც ინახავს, იკვლევს და გამოფენს ადამიანთა შემოქმედების, მათი ყოფა-ცხოვრების აღმწერ მნიშვნელოვან მასალას, სადაც ეცნობი შენი ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპს და გეგმება წარმოადგენს, თუ ვინ ვიყავით და საიდან მოვდივართ. სწორედ ამიტომ, მუზეუმებში სიარული უნდა შევყავართ მომავალ თაობებს, რათა მათ მიიღონ სულიერი საზრდო, გაიზიარონ მნიშვნელოვანი ცოდნა. აღსანიშნავია, რომ გასული წელი აჭარის მუზეუმების გაერთიანებისათვის ნაყოფიერი იყო, ისინი არაერთი საინტერესო აქტივობით წარსდგნენ საზოგადოების წინაშე



რა სახსრებს შესთავაზებს მუზეუმების გაერთიანება საზოგადოებას და როგორ აპირებენ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდის დაინტერესებას? ჩვენს კითხვებს სსიპ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორმა **თამარ ზომიძემ** უპასუხა.

- ქალბატონო თონა, როგორ შეაფასებთ განვლილ წელს და რომელ პროექტებს გამორჩევთ, რომლებმაც საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია?

- მოგეხსენებათ, სსიპ „აჭარის მუზეუმი“ მუზეუმების ერთობლიობაა. იგი წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს და უპირატესად ორიენტირებულია სამუზეუმო, კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაზე. უმნიშვნელოვანესია ეროვნული საგანძურის მოძიება, დაცვა, ექსპონირება, სამუზეუმო კოლექციების ოპტიმიზაცია, რესტავრაცია, ინვენტარიზაცია და პოპულარიზაცია. ჩვენი განვითარების სტრატეგია სწორედ ამას ემსახურება. ისეთი კომპონენტი, როგორც კულტურული ღირსძებების ჩატარება, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. გასული წელი ამ მხრივ ნაყოფიერი გახლდათ - ჩატარდა 130-მდე აქტივობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გამოფენები და ღონისძიებები, რომელიც მუზეუმში სრულიად განსხვავებულ ფორმატში ჩატარდა. მათ შორის გამოიჩინა: მუს არტი (მუსიკისა და ხელოვნების სინთეზი), ბერძნულ მითოსთან დაკავშირებული გამოფენა, სადაც ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს პერფორმანსი, გამოფენა „ტრადიციული სამოსი“ (პირველი თანამშრომლობა მოდის ინ-

დუსტრიასთან, თანამედროვე და ტრადიციული სამოსის სინთეზი), „ტექნოსტიმი“ - ნობელის მუზეუმში (საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სტემის კლუბებში შექმნილი რობოტებისა და სხვა გამოგონებების გამოფენა), „მედი ბათუმის ამბები“, სადაც გაცოცხლდა მე-19 საუკუნის ბათუმი და სხვა. შარშან საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ისეთმა მნიშვნელოვანმა პროექტებმა, როგორც იყო ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმისა და აჭარის მუზეუმის ერთობლივი დროებითი (გამოფენა 9 თვეს გაგრძელდა) გამოფენა ბათუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში - „ილია - 185“, სადაც წარმოდგენილი იყო ილიას პირადი ნივთები, მათ შორის ტყვია, რომლითაც მოკლეს და კალამი, რომლითაც ქმნიდა უკვდავ ლიტერატურულ ნამუშევრებს; უნგრეთის რობერტ კაპას თანამედროვე ფოტოგრაფიის ცენტრისა და სსიპ „აჭარის მუზეუმის“ ერთობლივმა პროექტმა-გამოფენამ „რობერტ კაპას ობიექტივში“. უდიდესი ფოტოგრაფის, ფოტოჟურნალისტის, ომის ჟურნალისტისა და კომპანია „მაგნუმ ფოტოს“ დამფუძნებელ რობერტ კაპას უნიკალური ნამუშევრების გამოფენა ხელოვნების მუზეუმში 2021 წელს ქალაქ ბუდაპეშტში საქმიანი ვიზიტის შედეგად, სადაც ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ „აჭარის მუზეუმი“ და უნგრეთის ეროვნულ მუზეუმი, რობერტ კაპას თანამედროვე ხელოვნების

ცენტრი. დიდი მოწონება ხვდა წილად ცნობილი ქართველი თანამედროვე მხატვრის ლევან სონღულაშვილის გამოფენას „ნოლი მე ტანგერე“, ასევე ცნობილი ქართველი მხატვრის, „გარდენა შევარდნაძის“ მფლობელ ზურაბ შევარდნაძის პროექტს „აჭარული ნაჭრელები“.

- თქვენ, როგორც აჭარის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დაგაწილდგათ ნომინაციაში „წლის მენეჯერი კულტურის სფეროში“. რას ნიშნავს ეს წილად თქვენთვის?

- შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წილად ჩემს ცხოვრებაში, ამავდროულად - უდიდესი პასუხისმგებლობა, რადგან საზოგადოებას უფრო მეტი მოთხოვნა და მოლოდინი აქვს ასეთ შემთხვევაში. მაღლობს ვუხედავთ თითოეულ ადამიანს, ვინც ჩართული იყო იმ ყველა პროექტში, ღონისძიებასა თუ ყოველდღიურ სამუშეო საქმიანობაში, რაც ამ წილადს მოპოვების საწინდარი გახდა. მაღლიერებას გამოვხატავ სამინისტროს მიმართ ასეთი დაფასებისთვის. ეს წილად იქნება მოტივაცია აჭარის მუზეუმებისთვის, უფრო დიდი მშვენიერებების დასაპრობად.

- რა სახსრებს შპირდება მუზეუმების გაერთიანება საზოგადოებას და წელს რა მიმართულება იქნება პრიორიტეტული?

- პრიორიტეტულია სამეცნიერო და საერთაშორისო მიმართულების გააქტიურება. გვექნება არაერთი სამეცნიერო აქტივობა და საერთაშორისო ღონისძიება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს ცნობადობას. ჩვენი მიზანია მუზეუმების პოპულარიზაცია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. გვემავთ გააქტიურებას სამუზეუმო განათლების, აღმზრდელიობით საქმიანობის, მეცნიერული ცოდნის გავრცელების, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, ექსპონატების განახლების, ახალი ბეჭდვითი პროდუქციის პოპულარიზაციის კუთხით. ეს, როგორც წესი, ვიზიტიორთა რაოდენობის ზრდაზე უნდა აისახოს წლის ბოლოს.

- თქვენ სამუზეუმო განათლება ახსენეთ, აღსანიშნავია მუზეუმების გაერთიანების საგანმანათლებლო პროგრამებში სკოლების ჩართულობა.

- შარშან შეიქმნა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, განხორციელდა მუზეუმების პრეზენტაციები აჭარის ტერიტორიაზე არსებულ კერძო და საჯარო სკოლებში, დამტკიცდა ახალი საგანმანათლებლო პრო-

გრამები. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის შეიქმნა შესაბამისი რესურსი თითოეული პროგრამისათვის. მიუხედავად წლის განმავლობაში ხორციელდება ონლაინსაგანმანათლებლო და ლაივ-გენერაციები, შეხვედრები, ღია ლექციები, დისკუსიები და სხვა აქტივობები. ჩვენი მიზანია, მოვიცვათ აჭარის რეგიონი და მივცეთ ახალგაზრდებს შესაძლებლობა, ეზიარონ სამუზეუმო ცხოვრებას.

- თქვენ, როგორც ხელმძღვანელი, როგორ ფიქრობთ, დამატებით რა ნაბიჯები გადასადგმელი, ახალგაზრდებისთვის მუზეუმებში სიარული ერთგვარ ჩვევად და სასიამოვნო პროცესად რომ იქცეს?

- როგორც ვთხარათ, თითოეული აქტივობა მიმართულია ახალგაზრდების ინტერესის გაღვივებისკენ მუზეუმის მიმართ. ჩვენთვის პრიორიტეტულია ინტერდისციპლინარული აქტივობები, რაც უფრო საინტერესოს გახდის მუზეუმს ახალი თაობისათვის. ინტერაქტივი, რომელსაც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა სთავაზობს მოსწავლეს, მორგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმას და სახალისოდ არის წარმოდგენილი პროგრამებში. ფაქტობრივად, მოსწავლე ეუფლება ცოდნას სხვადასხვა აქტივობისა და ვიზუალიზაციის საშუალებით, რომელიც მნიშვნელოვანი კომპონენტებია ინფორმაციის აღქმა-გაცნობიერებაში. ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეების მოთხოვნით კიდევ ერთხელ დაბრუნდნენ მუზეუმში. როცა ასეთი ფაქტი ფიქსირდება, ძალიან ბედნიერები ვართ.

- მიზანი, რომელიც მუზეუმებს უკავშირდება და გასურთ, პირველი იყოთ, ვინც ამას განახორციელებს...

- ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით სტრატეგიულ გეგმას, შევისწავლეთ ადგილობრივი და მსოფლიო მუზეუმები, თანამედროვე ტენდენციები, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ მოცემული რეკომენდაციები, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დასახული ამოცანები, რათა მუზეუმები წარმატებულად გაუმკლავდნენ ქვეყანაში და მის გარეთ მზარდ კონკურენციას. დარწმუნებული ვართ, რომ სსიპ „აჭარის მუზეუმი“ დანერგავს მაღალი ხარისხის სტანდარტებს სამუზეუმო სფეროში და ოპტიმალურ დონეზე დააკმაყოფილებს ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნებს. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს დამოვალდებულთა რაოდენობის ზრდასა და მსოფლიო რუკაზე ბათუმის მუზეუმებისათვის ღირსეული ადგილის მიჩენას.

„არაერთი ავტორის ნიბნი იხილავს მზის შუქს“

მწერალთა სახლი როგორც მწერლებისა და პოეტებისათვის, ასევე ლიტერატურის მოყვარული თითოეული ადამიანისათვის არის სივრცე, სადაც შეუძლიათ გაცნონ ქვეყნისა და მთელი მსოფლიო ლიტერატურის სახსრებს. ეს არის სივრცე, სადაც ქართველ, ასევე საქართველოში სტუმრად მყოფ მწერლებსა და პოეტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ფართო საზოგადოებას გააცნონ თავიანთი შემოქმედება, ჩაერთონ ამა თუ იმ საინტერესო პროექტში



როგორ ახერხებს აჭარის მწერალთა სახლი სალიტერატურო პროექტების ხელშეწყობას? - ამ თემაზე გაზეთ „აჭარის“ კითხვებს აჭარის მწერალთა სახლის დირექტორმა **ლალი კონცეფციძემ** უპასუხა.

- ქალბატონო ლალი, შარშან აჭარის მწერალთა სახლში არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა. მაინც რით იყო გასული წელი მნიშვნელოვანი?

- ზოგადად, ყველა ღონისძიება გარკვეულ მიზანს ემსახურება და თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია. შარშან ცხრა ავტორის წიგნი გამოვეცით, არაერთი საინტერესო ავტორის შემოქმედებას გაცენო მკითხველი ჟურნალ „ჟიორის“ მეშვეობით. რაც შეეხება უშუალოდ ღონისძიებებს, მთავარი და, ერთგვარად - შემავამებელიც, ალბათ, დეკემბერში გამართული საღამო იყო, სადაც წლის განმავლობაში „საიაუბილეო სერით“ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია შედგა. ძალიან ემოციური და მნიშვნელოვანი იყო თურქეთის რესპუბლიკის ქ. საქარაის ქართველთა (ქართველთა-ლაზთა) კულტურის ასოციაციის წარმომადგენლებთან - ერეკლე დავითაძესთან (ერდოღან შენოლი), ილია კოლტაშვილთან (მუსტაფა კოლატი) და მათ მეგობრებთან - ისტორიული საქართველოს შეილებთან შეხვედრა. ემოციებთან იყო დაკავშირებული ფერეიდუნე ელია უნდილადის სტუმრობაც. საინტერესო და შედეგიანი

გამოდა აჭარაში მოღვაწე მწერალი ქალბატონების შეხვედრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჩიშვილთან, სადაც არაერთი პრობლემა დაიხსნა და პროექტი დაიხსნა. ერთ-ერთ ასეთ პროექტს მიმდინარე წელს განვახორციელებთ და დარწმუნებული ვარ, მას არაჩვეულებრივი გამოხმაურება ექნება.

- რა სახსრებს უნდა ველოდეთ მწერალთა სახლისგან წელს?

- უპირველესად - ეს არის გამოცემები. არაერთი ავტორის წიგნი იხილავს მზის შუქს. გვახარებს ის ფაქტი, რომ მალე ცნობილი მწერლის - ალი სამსონიას რჩეული მოთხრობების კრებულს მივაწვდით საზოგადოებას. გამოიცემა ამირან ხაბაზის და გენიეტა ქუთათელაძის პოეტური კრებულები. ტრადი-

ციულად, ჩატარდება საიუბილეო საღამოები, პრეზენტაციები, ზაფხულის პერიოდში პოეტური შეხვედრები გაიმართება მწერალთა სახლის მოპირდაპირე სკვერში - მზის საათთან. გამოცემულია გვაჩვენა, გარე სივრცის ამ მიზნით გამოყენება არანაკლებ საინტერესო და პოეტური შეიძლება იყოს.

- უმნიშვნელოვანესია თქვენი მხარდაჭერა ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტებისათვის...

- და ძალიან პრიორიტეტულიც. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, განხორციელებთ ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა პროგრამას, რომლის ფარგლებში გამოიცა არაერთი ახალგაზრდა ავტორის წიგნი. ზოგადად, აჭარის მწერალთა სახლი ღია ნებისმიერი

ავტორისათვის, მათ იღებებს აქ მხოლოდ ხელშეწყობა ელის.

- როგორც მწერალთა სახლის დირექტორი, როგორ ფიქრობთ, ლიტერატურის სფეროში რა უნდა იყოს პრიორიტეტული, რა უნდა გაცემაქც იმისათვის, რომ უფრო მეტად შევუწყოთ ქართული მწერლობის განვითარებას ხელი?

- უნდა გამოიცეს წიგნები, ხელი უნდა შეეწყოს მთარგმნელობით საქმიანობას, უნდა წახალისდეს ლიტერატურული კრიტიკა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და განვითარებას საჭიროებს... კიდევ მზარდობს ლიტერატურული პროექტების მხარდაჭერა, ახალგაზრდა მწერალთა ხელშეწყობა, ლიტერატურულ ფესტივალებში მონაწილეობა და ბევრი სხვა რამ. აუცილებლად აღსანიშნავია - ჩვენს სფეროში უმნიშვნელოვანესია მედიამხარდაჭერა და ამ მხრივ მხოლოდ მაღლობა შეგვიძლია ვადაგვიხადოთ თქვენ - გაზეთ „აჭარას“, აჭარის ტელევიზიას, სოციალური მედიის წარმომადგენლებს.

- უახლოესი აქტივობების ანონსი...

- ამ დღეებში მწერალთა სახლში პოეტ შოთა ზოიძეს გავიხსენებთ. იგეგმება მკითხველის შეხვედრა ახალგაზრდა პოეტებთან: როი აბუსელიძესთან, გენრი დოლიძესთან, სულხან წულუკიძესთან, გურანდა ნიჟარაძესთან. წლის განმავლობაში მოვიწვევთ ცნობილ მწერლებს, ჩატარდება ექსპერიმენტული პროექტები მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით, მნიშვნელოვანი გეგმები გვაქვს მთარგმნელობითი მიმართულებით...

მართლაც, მწერალთა სახლი ყოველთვის იყო და იქნება ქალაქის ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან სივრცედ, სადაც უყვარათ ლიტერატურა და სადაც ყოველთვის ელიან ლიტერატურაზე შეყვარებულ ადამიანებს.